პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეხუთე

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 24, ტელეფონი 10—19.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. ხელის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

დღიური

ათინაში (საბერძნეთი) მოხდა შეტაკება მონარქისტებს და რესპუბლიკანელებს შორის.

ოსმალეთის მთავრობამ ხელი მოაწერა ალბანეთთან დადებულ ხელშეკრულებას.

პოლონეთის მთავრობამ დაატუსაღა კრაკოვში მომხდარი აჯანყების 85 მონაწილე.

ამხ. სკობელევის ცნობით, ამ ბოლო ხანებში საფრანგეთის სავაჭრო წრეები დიდ ყურადღებას იჩენენ საბჭოთა კავშირისადმი.

გაიხსნა სრულიად რუსეთის ომში დასახიჩრებულთა დამხმარე კომიტეტების ყრილობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 286 ოთხშაბათი, 12 დეკემბერი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 6 კაპ. ჩერვონცებით. № 286

საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტი
წინადადებას იძლევა
პარასკევს, 14 დეკემბერს

ერთიან პარტიულ დღეს

დაისვას საკითხი:

„პარტიის ახალი ამოცანების შესახებ“

მასალად გამოიყენონ: ამხ. ზინოვიევის წერილები, ს. კ. პ. ტფ. კომიტეტის მიერ წამოყენებული პრაქტიკული წინადადებები და პეტროგრადის საგუბერნიო პარტკონფერენციის რეზოლიუციები, რომლებსაც მიიღებენ რაიკომებში.

ს. კ. პ. ტფ. კომიტეტი წინადადებას იძლევა ყოველმხრივ იქნას განხილული აღნიშნული მასალები და ახალი კონკრეტიული წინადადებანი გადაეცეს სათანადო რაიკომს.

ტფ. კომიტეტის მდივანი **რუბენი.**

პასუხისმგებელ მუშაკების თათბირი,

რომელიც დანიშნული იყო ხუთშაბათს, 13 დეკემბრისათვის—მთელ რიგ ამხანაგების თხოვნით, საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტს

გადააქვს

შაბათს, 15 დეკემბრისათვის, საღამოს 6 საათზე სასახლის წითელ დარბაზში.

დღის წესრიგი: **ამხ. ორჯონიკიძის** მოხსენება

„მაკრატელის“ შესახებ.

შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების მუშაობა

დაქირავებული შრომის პირობებში აღმოცენებული კონფლიქტების სწორათ გადაჭრას დიდი მნიშვნელობა აქვს არსებული შრომის კანონმდებლობის ცხოვრებაში გასატარებლათ. რაც უნდა კარგი იყოს შრომის კანონის ნორმები, არავის ისინი სარგებლობას არ მოუტანენ, თუ კი არ ხორციელდებიან ან და ცხოვრებაში ტარდებიან დამახინჯებულათ.

ამ მხრივ ჩვენ თავს ვერ დავიმშვიდებთ და ვერ ვიტყვით, რომ ყველაფერი რიგზე იყოს. ხშირია შრომის ნორმების პრაქტიკაში დარღვევა, გადასხვაფერება, შეკვეცა, [illegible] გამოყენება და მომუშავეთათვის მინიჭებულ უფლებების შელახვა. ზოგან ეს ხდება ბოროტი განზრახვით—შრომის ექსპლოატაციის მიზნით, ზოგან კი უბრალო გაუგებრობის და უცოდინარობის შედეგია. ხანდახან თვით ორგანოები, რომელნიც მოწოდებულნი არიან შრომის კანონების აღსრულების ზედამხედველობათ, როგორც შრომის ორგანოები და შრომის ინსპექტორები, იჩენენ ხოლმე უცოდინარობას და ცხადია ასეთ შემთხვევებში მათი ზედამხედველობაც ვერ იქნება სასურველი.

ყველაზე უფრო მეტათ შრომის ნორმების დამახინჯებას და დაქირავებულების ინტერესების შელახვას ვხვდებით წარმოება-დაწესებულებებში არსებულ შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების დადგენილებებში. ეს კომისიები წარმოადგენენ ადგილობრივ პარიტეტულ ორგანოებს, სადაც შედიან თანასწორი რიცხვით ადმინისტრაციის და მომუშავეთა წარმომადგენლები. ის პირველი საფეხურია დაქირავებულ შრომით გამოწვეულ კონფლიქტების გარჩევაში. მათ დაკისრებული აქვთ მნიშვნელოვანი ფუნქციების მთელი რიგი, შრომის შეფასების, მიღება-დათხოვნის და კოლექტიური ხელშეკრულების შესრულების გატარების მხრივ. საერთოდ შემფასებელი - საკონფლიქტო კომისიები არიან შრომის მომწესრიგებელი ადგილობრივი ორგანოები. ისინი არჩევენ ისეთ საქმეებს, რომელნიც უშუალოდ ეხება ამ წარმოება დაწესებულებაში მომუშავეთა ინტერესებს, მათ მატერიალურ მდგომარეობას, მათ ყოველდღიურ მუშაობის და ადმინისტრაციასთან ურთიერთობის საკითხებს. თუმცა ამ საკითხების უმეტესი ნაწილი წვრილმანია და ხშირად ეხება თითო-ოროლა მომუშავეებს, მაგრამ მათ სწორათ გადაჭრას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც მომუშავეთა უფლებების დაცვას.

როგორც ზევით უკვე ვთქვით, შემფასებელ საკონფლიქტო კომისიების მუშაობა, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლათ. ხშირათ მათი დადგენილებანი ეწინააღმდეგებიან არსებულ შრომის ნორმებს, არღვევენ მათ და ამით აუარესებენ ცალკე მომუშავეთა მდგომარეობას. ამ წერილში ასეთი დადგენილების ჩამოთვლა მათი სიმრავლის გამო შეუძლებელია. საერთოდ მათ მიერ გამოტანილი დადგენილებანი ამტკიცებს მას, რომ კომისიის წევრები ვერ არიან სამათო გაცნობილი არსებულ შრომის კანონმდებლობას. ეს შეიძლება ითქვას როგორც მომუშავეთა, ისე ადმინისტრაციის წარმომადგენლების მხრივ.

პროფესიონალურმა კავშირებმა უნდა მიიღონ ზომები, რომ საქარხნო და ადგილობრივმა კომიტეტებმა კომისიებში წარმომადგენლათ გაგზავნონ შრომის საკითხებში გარკვეული პირები. ამასთანავე პერიოდულად უნდა სწარმოებდეს მათი ინსტრუქტორობა, უნდა ხდებოდეს კომისიების მუშათა ნაწილის კონფერენციები, შრომის ნორმების გასაცნობად და მათი მუშაობის პრაქტიკული საკითხების გასარჩევად. შრომის ორგანოებმაც უნდა გააძლიერონ კომისიების დადგენილებათა ზედამხედველობა მათი კანონიერების მხრივ. უკანონო და მომუშავეთა უფლებების შემლახველი დადგენილებანი უნდა უქმდებოდენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ წარმოება-დაწესებულებათა ადმინისტრაცია შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიებს სთვლიან თავის ორგანოებათ, უკარნახებენ ამა თუ იმ დადგენილებებს, ან კომისიის მიერ მიღებულ დადგენილებებს აუქმებენ. ასეთ გაუგებრობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. შემფასებელი-საკონფლიქტო კომისიები არ არიან ადმინისტრაციის ქვემდებარე ორგანოები. კომისია პარიტეტული ორგანოა და ის იღებს დადგენილებებს მხოლოდ ორივე მხარის შეთანხმების წესით და არა ადმინისტრაციის კარნახით. მიღებული დადგენილება სავალდებულოა ადმინისტრაციისათვის და მისი გაუქმების უფლება მას არა აქვს (შემფასებელ საკონ. კომისიის დადგენილების გაუქმება შეუძლია მხოლოდ შრომის განყოფილებას, ისიც მაშინ, როცა დადგენილება ეწინააღმდეგება არსებულ შრომის კანონებს). ადმინისტრაციის მოვალეობა არის კომისიაში თავის წარმომადგენლის გაგზავნა, მათი ხელმძღვანელობა და კომისიის მიერ მიღებული დადგენილების ცხოვრებაში გატარება.

საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის კვების გამოკვლევისათვის

მიმდინარე წლის დეკემბრის 21 და 23-ში, სტატ. ცენტრალურ სამმართველოს კოლეგიის დადგენილებით უნდა ჩატარდეს საქართველოს მოქალაქეთა მოსახლეობის კვების გამოკვლევა.

აღნიშნულ გამოკვლევის მიზანს შეადგენს შესწავლა—ერთის მხრივ კვების ხასიათის, ე. ი. რა სანოვაგით იკვებება მოსახლეობა და მეორე მხრივ კი—მოხმარების ნორმების, ე. ი. რა რაოდენობით ხმარობს იგი ამა თუ იმ სანოვაგეს.

ხანგრძლივმა მსოფლიო ომმა და მის შემდეგ მომხდარმა რევოლიუციამ და სამოქალაქო ომმა ძირიან-ფესვიანად შეარყია ჩვენი ყოფა-ცხოვრება. იყო დრო, როდესაც ჩვენ მოკლებულნი ვიყავით არამც თუ ისეთი საგნების მოხმარებაში, როგორიც არის შაქარი, ჩაი, ცხიმეული ხორცეული და სხვა, არამედ ისეთი აუცილებელ მოხმარების საგანშიც-კი, როგორიც არის პური.

ამის გამო სახალხო ჯანმრთელობა და კეთილდღეობა მნიშვნელოვნად დაზიანდა წარსულ წლებში. საზოგადოება დაზარალდა არამც თუ მარტო მოსახლეობის სიკვდილიანობის გადიდებით და დაბადებულთა შემცირებით, არამედ იმ უამრავ გავრცელებულ ავადმყოფობათა მიზეზითაც, რომლითაც თუ მოსახლეობა არ იხოცებოდა—მაინც დიდს დროს ჰკარგავდა ავადმყოფობაზე და მასთან ერთად—იმდენად ეცემოდა მისი წარმოებითი ენერგია, რომ ყველა ეს საგრძნობ ზიანს აყენებდა ჩვენს ეკონომიკას, ჩვენი სახალხო მეურნეობის თვითეულ დარგს.

შეზღუდულ მოხმარების—კვების ზეგავლენით ჩვენი ორგანიზმი მნიშვნელოვნად იყო დასუსტებული და ამის გამო ყოველგვარ სნეულებას იგი ფრიად ადვილად ითვისებდა, რაც ასუსტებდა ხალხის ჯანმრთელობას და კერძოთ,—უფრო მნიშვნელოვნად, ჩვენი ახალგაზრდა მომავალ თაობის—ბავშვთა სიცოცხლეს.

ამიტომ იყო, რომ მეცნიერებმა და პრაქტიკოსებმა აღნიშნულ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს და გაფაციცებით იწყეს შესწავლა ჩვენი კვების, ჩვენი მოსახლეობის მოხმარების. ასეთი შესწავლით უნდა იქმნას გაგებული, თუ რა ხასიათი აქვს ჩვენს კვებას, ე. ი. რა საგნებით საზრდოვობს მოსახლეობა და რა ნორმებით, ე. ი. რა რაოდენობით მოიხმარს ამა თუ იმ საგანს იგი, და აქედან, რამდენ ცილას, ცხიმს და ნახშირწყალს მოიკრებს ჩვენი ორგანიზმი,—რამდენ ენერგიას შეითვისებს იგი თავისი ყოველდღიური მოხმარების—ხარჯების დასაფარავად, რამდენ სითბოს ითვისებს იგი—კალორიებში.

როდესაც ასეთი გამოკვლევა გვექნება და გავიგებთ ჩვენი ორგანიზმის მომარაგების ხასიათს, აქედან უკვე გაადვილებული იქნება მისი გაუმჯობესების საშუალებათა გამოძებნა, ჩვენი მატერიალური დოვლათის და შემსყიდველობითი უნარიანობის მიხედვით.

მეცნიერებამ გამოარკვია ის აუცილებელი რაოდენობა მოხმარების უმთავრესი ელემენტების, რომელიც ესაჭიროება ადამიანს არამც თუ ამა თუ იმ მძიმე სამუშაოთა შესრულების დროს, არამედ ძილის—მოსვენების დროსაც-კი. ჩვენი სიცოცხლის მოქმედების უზრუნველსაყოფათ საჭირო ენერგია იცვლება არამც თუ სქესის, არამედ ჰასაკის, მუშაობის ხასიათის, სხეულის სიმძიმის—წონის და გეოგრაფიული პირობების მიხედვით. ყველა ეს ჰბადებს სათანადო მოთხოვნილებას—საჭირო საჭმლის მიწოდების აუცილებლობას და თუ ეს მიწოდება არ არის ნორმალური (მცირეა და გადაჭარბებული), მაშინ ორგანიზმი ჩიავდება, სუსტდება, ჰკარგავს შემოქმედების უნარს, დაავადმყოფდება და ბოლოს ისპობა.

გამოკვლეულია, რომ ძუძუთა ბავშვს, რომელიც იკვებება დედის რძით—ესაჭიროება 8 გრამი ცილა, 17 გრამი ცხიმი და 37 გრამი ნახშირწყალი, რომლიდანაც ის მიიღებს 344 კალორიას. რაც შეეხება მძიმე მუშაობის მწარმოებელ მამაკაცს, წონით 4 ფუთ. და 10 გირ. მქონეს, აქ მისი მოხმარების ნორმა უფრო დიდია. მას სჭირია ყოველდღიურათ—118 გრამი ცილა, 56 გრამი ცხიმი და 500 გრამი ნახშირწყალი, რომლიდანაც უნდა მიღებულ იქნას 3094 კალორია სითბო. არის უფრო მცირე თუ უფრო დიდი რაოდენობის მომხმარებელი წლოვანება და სამუშაო, რომელიც დიდ ნორმებს საჭიროებს და უფრო ინტენსიურ კვებას, ვიდრე დასახელებული.

გარდა ამისა, მნიშვნელობა აქვს არა მარტო კვების საშუალებით მიღებულ კალორიების რაოდენობას, არამედ იმ ურთიერთობასაც ამა თუ იმ საგნებს შორის, რომლიდანაც იგი მიიღება,—საქმე კვების სწორ მსვლელობაშია. თუ ჩვენ მიზნათ დავისახავთ საჭირო კალორიების მიღების ერთი რომელიმე საგნიდან მიღებას, მაგ. ხორციდან, პურიდან ან სხვა სანოვაგიდან, მაშინ ეს მოხმარება იქნება **არანორმალური.** მართალია გირვანქა ზეთი იძლევა 3600 კალორიას, გირ. ერბო—3520 კალ., ბურღული—1320 კალ. და ქვავის ფქვილი 1220 კალ., მაგრამ ცალკე თვითეული მათგანით ჩვენი კვების ამოწურვა არ იქნება სწორი, რადგან ამისთანა ცალმხრივ მოხმარებაში არ იქნება დაცული ის ურთიერთობა, რომელიც უნდა არსებობდეს მოხმარების საგანთა სამ უმთავრეს ელემენტს შორის—ცილის, ცხიმის და ნახშირწყლის.

ნორმალური კვება შემდეგია:

1. ორგანიზმმა მიიღოს საჭმლის იმდენი რაოდენობა, რომელიც მოგვცემს შრომისა და სიცოცხლისთვის საჭირო განსაზღვრულ ენერგიის რაოდენობას.

2. კვების ნორმები შეფარდებული იყვეს მომხმარებლის სქესთან, ჰასაკთან, სხეულის სიმძიმესთან—წონასთან და იმ მუშაობის ხასიათთან, რომელსაც ადამიანი აწარმოებს ადგილმდებარეობის მიხედვით.

3. ყოველდღიურათ მოხმარებული საჭმელი განსაზღვრულ რაოდენობით იძლეოდეს მაწივრობის იმ აუცილებელ სამ უმთავრეს ელემენტს—ნივთიერებას, რომელიც საჭიროა ორგანიზმის სიცოცხლის ზრდისა და მუშაობისათვის, ე. ი. ცილას, ცხიმს და ნახშირწყალს.

ჩვენი მოსახლეობის კვება რომ აღნიშნულის მიხედვით მოეწყოს და მოგვარდეს, საჭიროა გავიგოთ მისი თანამედროვე მდგომარეობა—დღევანდელი მოხმარება, როგორ საზრდოობს მოსახლეობა, მისი შემადგენელი სხვადასხვა წრეები—ჯგუფები. ამის შემდეგ მიღებული ნორმები უნდა გადავიყვანოთ ზომის ერთეულზე—კალორიაზე და მის მომცემ ელემენტებზე—ცილაზე, ცხიმზე და ნახშირწყალზე, რომ ამით გავიგოთ მოხმარების ნამდვილი ხასიათი და მხოლოდ ამის შემდეგ ვიწყოთ ის კვლევა-ძიება, რომელიც დაგვანახვებს მის გადახრას ნორმალურ მოხმარებისაგან (შემცირებას ან გადაჭარბებას) და, აქედან, როგორ უნდა შეიცვალოს იგი, რომ სწორეთ მოეწყოს ჩვენი ცხოვრება—ხალხის ჯანმრთელობა.

ლუარსაბ კარბელაშვილი.

სამუშაო ხელფასის რეალობის დაცვის ზომები

(ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტისაგან)

სამუშაო ხელფასის რეალურ რაოდენობის დაცვას მოსკოვში ამ უკანასკნელ დროს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური ორგანოები. ამ საკითხის პრაქტიკულად გადაჭრაში მონაწილეობას იღებენ არა მარტო პროფესიონალური კავშირები, როგორც ერთი დაინტერესებული მხარე, არამედ სამეურნეო და პარტიული ორგანოებიც.

კომუნ. პარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისია სამუშაო ქირის საკითხებს დიდი ყურადღებით ეპყრობა. მის მიერ ამ ბოლო დროს გარჩეულ საქმეებში საგრძნობელი რიცხვი უჭირავს შრომის ხელფასთან დაკავშირებულ საქმეებს; სახელდობრ: სამეურნეო ორგანოების კომუნისტ-ხელმძღვანელების მიერ ხელფასის დაგვიანებით გაცემას, უკანონო „გამოჩოთქვებს“, ხელფასის ფონდის არაპირდაპირი დანიშნულებისათვის დახარჯვას, სპეციალური ჯამაგირების და მოგების პროცენტების უხვ დანიშვნას და სხვა ასეთ საკითხებს. მთელ რიგ სამეურნეო ორგანოებში მომუშავე კომუნისტ. პარტიის წევრებს საკონტროლო კომისიამ გამოუცხადა გაკიცხვა და გაფრთხილება. დანიშნული იქნა ცენ. საკ. კომისიის მიერ სპეციალური კომისია დონეცის ქვანახშირის რაიონის მუშების მდგომარეობის გამოსაკვლევად, იქ სამუშაო ხელფასის დაგვიანებით დარიგების მიზეზების აღმოსაჩენად და დამნაშავეების პასუხისგებაში მისაცემად. კომისია უკვე გაემგზავრა და ადგილობრივ აგროვებს ცნობებს.

ამავე მუშაობას აწარმოებს მუშათა და გლეხთა ინსპექცია. მის ადგილობრივ ორგანოებს მიეცა სპეციალური დავალება ხელფასის დროზე დარიგებაზე კანტორის გაძლიერების შესახებ.

ნოემბრის ბოლო რიცხვებში რუსეთის პროფეს-კავშირების ცენტ. საბჭოსთან მოხდა თათბირი ცალკე კავშირების ცენტრალური კომიტეტების წარმომადგენელთა შემადგენლობით. ამ თათბირმა გამოიმუშავა კონკრეტიული დირექტივები კავშირების ორგანიზაციებისათვის ამ საკითხის შესახებ.

პროფესიონალურ კავშირების ადგილობრივ ორგანოებს ეძლევათ წინადადება მოსთხოვონ სამეურნეო ორგანოებს ხელფასის იმ ვადებზე დარიგება, რომელიც დათქმულია კოლექტიურ ხელშეკრულებებში.

კოლექტიური ხელშეკრულების დადების დროს კავშირები უნდა აყენებდენ მოთხოვნილებას ხელშეკრულებაში ისეთი მუხლების შეტანის შესახებ, რომლებშიც ნაჩვენები იქნება კონკრეტიული ზომები რეალური ხელფასის დასაცავად, როგორც, მაგალითად, ვადაზე დაურიგებელ ხელფასის ჩერვონეცის კურსზე გადატანა (ვადაზე ხელფასი იანგარიშება საქონლის მანეთის კურსით და თუ მაშინვე არ რიგდება, ის გადატანილი უნდა იქნას ჩერვონეცის მანეთებზე), ყოველ დაგვიანებულ დღეებზე განზრახული პროცენტის ჯარიმის დადება და სხვა.

საქონლის მანეთის კურსის ხელოვნური დაწესება არ შეიძლება დაშვებული იქნას. ის უნდა შეეფერებოდეს სინამდვილეს.

ხელფასის ნაწილის ნატურით გაცემა, რომელსაც აქამდის ადგილი ჰქონდა ზოგიერთ წარმოებებში და იწვევდა მუშების სამართლიან უკმაყოფილებას, შეიძლება მოხდეს კავშირთან შეთანხმების წესით და ისიც იმ რაოდენობით, რომელიც საჭიროა მომუშავის პირადი საჭიროებისათვის.

თათბირმა საჭიროთ სცნო აგრეთვე ცენტრ. საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის უფრო თავგამოდებითი კონტროლის გაწევა სამეურნეო ორგანოების მიერ ხარჯების გაწევაზე, რათა ამით უზრუნველჰყონ ხელფასის თავის დროზე დარიგება.

ხელფასის დაგვიანების ყველა შემთხვევები უნდა გამოძიებული იქნას და დამნაშავენი პასუხისგებაში მიცემული.

ხ. გ.

მოსკოვი, 8 ნოემბერი.

რადიო-ტელეგრამები

(„ზაკროსტა“-ს ცნობები)

გერმანიის მთავრობის „გულუხვობა“

გერმანიის ხალხი განიცდის საშინელ სილატაკეს.

სოციალ-დემოკრატიამ კაპიტულიაცია მოახდინა მთავრობის წინაშე.

სტინესის მადა: სტინესს და მის ჯგუფს განზრახული აქვთ ხელში ჩაიგდონ მთელი გერმანიის რკინის გზების ექსპლოატაცია, რისთვისაც უკვე გადასდგეს სათანადო ნაბიჯი.

რეაქციის წინააღმდეგ: ამსტერდამის პროფკავშირთა ბიუროს მდივანმა ფიმენმა განაცხადა, რომ ერთად ერთი საიმედო ძალა, რომელზედაც დაიმსხვრევა გერმანიის და საერთაშორისო რეაქცია არის საბჭოთა კავშირი.

რეიხსტაგის დათხოვნა: რეიხსტაგი დაითხოვეს „საშობაო არდადეგებზე“.

გაძარცვული გერმანია

გერმანიის დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაციების კონგრესი

ბერლინი. 10 დეკ. ბერლინში გაიხსნა გერმანიის დამხმარე ორგანიზაციების საერთაშორისო კონგრესი. ყრილობის პრეზიდიუმში არჩეული არიან მიუნცენბერგი, ფიმმენი, ვურმი და შტეკკერტი. ჩამოვიდნენ მრავალი დელეგატები და პრესის წარმომადგენლები.

გერმანიის ჯანმრთელობის სამინისტროს წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა მიუნცენბერგის ორგანიზაციებს, რომლებიც ყოველდღიურად კვებავენ 5000 კაცს.

მიუნცენბერგმა, რომელსაც მხურვალე ოვაციებით შეეგებნენ, აღნიშნა, რომ **გერმანიის კაპიტალიზმი და აგრეთვე მის სამსახურში მყოფი გერმანიის მთავრობა არავითარ ზომებს არ იღებს გაჭირვებაში მყოფთა დასახმარებლად. მიუნცენბერგმა განაცხადა, რომ ჩვეულებრივი ხორცის ხმარება გერმანიაში შემცირდა 56 პროც.-ით იმ დროს, როცა ძაღლის ხორცის ხმარება გაიზარდა 200 პროცენტით. ამერიკა უარს ამბობს გერმანიის დახმარებაზე, რასაც იმით ასაბუთებს, რომ გერმანიის ბურჟუაზია თვით არავითარ ზომებს არ იღებს გერმანიის ხალხის გაჭირვების შესამსუბუქებლად.** რუსეთში სიმშილობა ბუნებრივი მიზეზებით იყო გამოწვეული, გერმანიაში კი პირიქით. წელს გერმანიაში კარგი მოსავალია. **სიმშილობის მიზეზები უნდა ვეძიოთ შინაპოლიტიკურ პირობებში.** პროცენტული რაოდენობის მხრივ, სიმშილის შედეგებს გერმანიაში განიცდის უფრო მეტი ხალხი, ვიდრე რუსეთში. მუშები ომამდი არსებული შრომის ხელფასის 10—15 პროც.-ს იღებენ იმ დროს, როცა ფასები სურსათ-სანოვაგეზე 5-ჯერ გაიზარდა. 5 მილიონამდი მუშა მონაწილეობას არ იღებს მრეწველობაში.

ელენა შეკკერტმა აღნიშნა, რომ კაპიტალიზმის ეგოიზმს უფრო მეტი წილი უდევს ხალხის უბედურებაში, ვიდრე პუანკარეს პოლიტიკას.

გლაუბერმა, პროლეტარული საქიმო დახმარების ორგანიზატორმა, აღნიშნა სიმშილობის ნიადაგზე ავადმყოფობათა რიცხვის ზრდა. ხშირია სიკვდილი სიმშილობის გამო, რომელთა შესახებაც სდუმს ოფიციალური სტატისტიკა.

ბურჟუაზიულმა მწერალმა პაციფისტმა პაკემ პროტესტი განაცხადა გონებრივი შრომის მუშაკთა ექსპლოატაციის წინააღმდეგ და მიუთითა, რომ **მხოლოდ მწერლების ორ პროცენტს შეუძლია იარსებოს დამოუკიდებლათ თავისი შრომით. მწერლების ერთი მესამედი ნაწილი იმაზე ნაკლებს იღებს, ვიდრე უმუშევრებს სახელმწიფოსაგან დახმარება ეძლევათ.**

ფიმმენმა აღნიშნა რა, რომ ის ლაპარაკობს მხოლოდ თავისი საკუთარი სახელით, მწუხარება გამოსთქვა იმის გამო, რომ კონგრესზე არ არიან პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანების დელეგატები. იმ გარემოებას, რომ სხვა ქვეყნების შეკავშირებულმა მუშებმა ძლიერ ცოტა დახმარება გაუწიეს გერმანიის პროლეტარიატს, ფიმმენი ხსნის რეაქციის გაძლიერებით, რომლის ზეგავლენით შესუსტდა საერთაშორისო სოლიდარობის გრძნობა და აგრეთვე საერთაშორისო მუშათა კლასის განცვიფრებით: რატომ უნდა დაეხმარონ ისინი გერმანიას იმ დროს, როცა **გერმანიის ბურჟუაზია თვითონ ხელს უწყობს თავისი ქვეყნის დაღუპვას.**

ფიმმენი აღნიშნავს, რომ საერთაშორისო პროლეტარიატი შეცდომას უშვებს, როცა სუსტ დახმარებას უწევს გერმანიის პროლეტარიატს, რადგან **საერთაშორისო პროლეტარიატის ბედი მტკიცედ არის დაკავშირებული გერმანიის პროლეტარიატის ბედთან.** ფიმმენი მოუწოდებს ყველა შეგნებულ მუშებს და აგრეთვე პოლიტიკურ პარტიებს, განურჩევლად მიმართულებისა, შეუერთდნენ მუშათა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დაწყებულ საქმეს.

კონგრესზე წაკითხულ იქნენ ლუნაჩარსკის, კლარა ცეტკინის და გერმანიის დამხმარე მთელ რიგ ორგანიზაციების მისალმებელი დეპეშები.

კონსტიტუციის „გარანტიები“

დეპუტატთა ხელშეუხებლობის უფლების გაუქმება

ბერლინი. 10 დეკემ. რეიხსტაგის იურიდიულმა კომისიამ წინადადება შეიტანა რეიხსტაგში დეპუტატთა ხელშეუხებლობის გაუქმების შესახებ შემდეგ დეპუტატების მიმართ: დეპუტატ-კომუნისტების ფრელიხის და რემელეს, რომლებიც პასუხისგებაში არიან მიცემულნი ანტისახელმწიფოებრივ მოწოდებაზე ხელის მოწერისათვის, ტევტონურ პარტიის წევრის გრეიფის, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ჰიტლერის „პუტჩ“-ში, პფალცის სოციალ-დემოკრატიის გოფმანის, რომელსაც, პფალცის ავტონომიის გამოცხადების ცდისათვის, ბრალად ედება სახელმწიფოს ღალატი.

რეიხსტაგი ამ წინადადებებს განიხილავს იანვარში,—სხდომების განახლების შემდეგ.

რეაქციის წინააღმდეგ

ფიმმენის განცხადება.

ბერლინი. 10 დეკემბერი. ფიმმენმა რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს ევროპის მდგომარეობის შესახებ განაცხადა, რომ ის პესიმისტურად არის განწყობილი. **გაძლიერებულ რეაქციას არსად არ შეხვედრია მთლიან ბრძოლისათვის მომზადებულ პროლეტარიატის წინააღმდეგობა. მუშათა მოძრაობის განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გერმანიის ამბებს. რეაქციის გაძლიერებამ და სოციალ-დემოკრატიის ბელადების გამყიდველობამ მძიმე განსაცდელში ჩააგდო საერთაშორისო პროლეტარიატი.** გერმანიის მუშათა კლასი მხოლოდ მაშინ დაიპყრობს ძალაუფლებას, როდესაც ის ანგარიშს გაუწევს წარსულ შეცდომებს და გაერთიანდება ერთ მთლიან რევოლიუციონურ ძალათ.

საბჭოთა რუსეთი საიმედო დასაყრდენია საერთაშორისო რეაქციის წინააღმდეგ იმ პირობით, თუ განვითარდება საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობა. საერთაშორისო პროლეტარიატის ამოცანაა ყოველის მხრივ დაიცვას ეს საიმედო დასაყრდენი საერთაშორისო რეაქციის წინააღმდეგ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეხლა, როდესაც გერმანიაში გაიმარჯვა რეაქციამ, გაძლიერდება კაპიტალიზმის შეტევა საბჭოთა რუსეთზე. **როგორც 1920 წელში საერთაშორისო პროლეტარიატი იცავდა პროლეტარულ რუსეთს და ხელს უშლიდა იარაღის გაგზავნას პოლონეთში, ასევე უნდა მოიქცეს ის ეხლაც და ყოველი საშუალება უნდა იხმაროს, რომ საბჭოთა რუსეთი არ გახდეს კაპიტალისტურ სახელმწიფოების სიძულვილის მსხვერპლათ.**

დასასრულ ფიმმენმა განაცხადა, რომ მთლიანი რევოლიუციონური ფრონტი უნდა შეიქმნას ამსტერდამისა და მოსკოვის შეთანხმების გზით.

სოციალ-დემოკრატების კაპიტულიაცია

სოციალ-დემოკრატ გოფმანის განცხადება

ბერლინი. 10 დეკემბერი. რეიხსტაგის დეპუტატმა, სოციალ-დემოკრატმა გოფმანმა, **რომელიც გამორიცხეს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციიდან პარტიულ დისციპლინის დარღვევისათვის იმ დროს, როდესაც კენჭს უყრიდენ კანონ-პროექტს მთავრობის უფლებათა გაფართოვების შესახებ,** რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ სოციალ დემოკრატიულ ფრაქციის გადაწყვეტილება—ხმა მიეცათ კანონ-პროექტისათვის—გამოწვეული იყო შიშით ახალი არჩევნების წინაშე. **ამ საშიშროების წინაშე კაპიტულიაცია მოახდინეს აგრეთვე ოპოზიციის მრავალმა წევრებმა.** დაასაბუთა რა თავის გამოსვლა კანონ-პროექტის წინააღმდეგ, გოფმანმა აღნიშნა, რომ **მუშებმა უნდა დაინახონ ბოლოს, რომ სოციალ-დემოკრატები ქედს არ იხრიან ყოველთვის რეაქციის წინაშე,** როგორც ამას ჩადიოდენ ისინი უკანასკნელი თვეების განმავლობაში; გოფმანმა ამ შემთხვევაში მაგალითად მოიყვანა სოციალ-დემოკრატ ჰაინშტეინის მოქმედება იმ საკითხში, რომელიც საალყო წესებს შეეხებოდა.

რეიხსტაგის დათხოვნა

ზიზღი სოციალ-დემოკრატებს

ბერლინი. 10 დეკემბერი. რეიხსტაგი დათხოვნილია საშობაო არდადეგებისათვის.

რეიხსტაგის დათხოვნის წინ ტრიბუნაზე გამოჩნდენ რკინისგზელთა დელეგატები, რომლებმაც პროტესტი განუცხადეს სოციალ-დემოკრატებს. დელეგატებმა განაცხადეს: **„თქვენ მოღალატეები ხართ, თავისი პოლიტიკით თქვენ ხელს უწყობთ რეაქციის გამარჯვებას.“**

სტინესის მადა

მადა ჭამის დროს მოდის

ბერლინი. 10 დეკემბერი. პრესა იტყობინება, რომ **სტინესმა სხვა მრეწველებთან ერთად გამოიმუშავა გეგმა, რომლის მიხედვითაც მან უნდა ხელში ჩაიგდოს გერმანიის რკინის გზები.** პროექტის თანხმათ უნდა მოეწყოს „საიმპერიო საქციონერო საზოგადოება“, რომელმაც უნდა აწარმოოს რკინისგზათა ექსპლოატაცია; პროექტი განხილული იქნება მსხვილ ბანკების წარმომადგენელთა კონფერენციაზე, და აგრეთვე მრეწველთა საიმპერიო კავშირის უახლოეს სხდომაზე.

რეაქციის ბანაკში

კარი და ლიუდენდორფი.

ბერლინი. 10 დეკემბერი. კარსა და ლიუდენდორფს შორის დაიწყო კონფლიქტი. კარმა წერილობითი წინადადება მისცა ლიუდენდორფს თავი შეეკავებინა ყოველგვარ გამოსვლისაგან 9 ნოემბრის ამბების გამო მანამდე, სანამ არ დასრულდება ჰიტლერის საქმის გამოძიება. კარმა სთხოვა ლიუდენდორფს წერილობით ეპასუხნა მისთვის—თანახმაა იგი ამ განკარგულების შესრულებაზე თუ არა. პასუხის ნაცვლად ლიუდენდორფმა მიმართა კნილინგს თხოვნით გაეუქმებინა კარის ეს მოთხოვნილება ან ეცნობებინა ლიუდენდორფისათვის რა უფლებრივ ნორმებს ემყარება კარი, როდესაც ძალას აყენებს კერძო პირთა მოქალაქეობრივ უფლებებს.

კვლავ ჰინდენბურგი.

ბერლინი. 10 დეკემბერი. ტევტონურ პარტიის პრესის ერთი ნაწილი, სხვათა შორის ყოველკვირეული „ფრიდერიკუს“-ი, აგიტაციას ეწევა ნაციონალისტურ მოძრაობის ხელმძღვანელობის ჰინდენბურგის ხელში გადაცემის სასარგებლოთ.

ჰოგენცოლერნების მომხრეები.

პარიზი, 11 დეკემბერი. „დეილი მეილის“ ცნობით მეკლენბურგში ჰოგენცოლერნების მომხრეების მიერ შედგენილია პოლკი 9.000 კაცისაგან.

ინგლისი ახალი მთავრობის „ძებნაში“

არჩევნებში დამარცხებული ბალდვინის მთავრობა არ აპირებს გადადგომას.

ინგლისის ყველა პარტიები უკმაყოფილოა საარჩევნო სისტემით.

ლიბერალთა პარტიაში განხეთქილებაა ბალდვინის მთავრობასთან დამოკიდებულების საკითხში.

ახალი მთავრობის მოლოდინში

„მორნინგ პოსტ“-ი აღელვებულია

ლონდონი. 10 დეკემბერი. რეაქციონური „მორნინგ პოსტ“-ი არჩევს საკითხს მუშათა პარტიის სახელმწიფოს სათავეში ჩადგომის შესახებ და აღნიშნავს, რომ ასეთი კაბინეტი თვალსაჩინოდ შესცვლის დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკას. „ორივე პარტია,—ამბობს გაზეთი,—როგორც ლიბერალური, ისე მუშათა პარტიაც, საჭიროთ სთვლიან საბჭოთა კავშირის ცნობას, მაშინ როდესაც ასეთი პოლიტიკა სრულიად ეწინააღმდეგება კონსერვატორების შეხედულებებს. საერთოდ, რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, მდგომარეობა ძლიერ სახიფათოა“.

დარჩება თუ არა ბალდვინი.

ბერლინი. 10 დეკემბერი. კვირას ბალდვინი ეთათბირა თავის პოლიტიკურ თანამოაზრეებს. ორშაბათს ბალდვინი მეფეს ინახულებს. სამშაბათს მოწვეული იქნება კაბინეტის სხდომა, რომელზედაც გამოტანილი იქნება საბოლოო დადგენილება. „ტაიმს“-ის სიტყვით, პირადათ ბალდვინს სურს დაუყოვნებლივ გადადგეს, მაგრამ მისი მეგობრები დაჟინებით მოითხოვენ მის დარჩენას.

განხეთქილება ლიბერალებს შორის

ორი ფრთა

ლონდონი. 11 დეკემბერი. ლიბერალურ პარტიაში არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობის და პარტიის გზის საკითხის გარშემო გაჩნდა ორი მიმდინარეობა. პარტიის ერთი ნაწილი მოითხოვს სრულ დამოუკიდებლობას, ხოლო მეორე—შესაძლებლათ სთვლის კონსერვატორებთან ნაწილობრივ თანამშრომლობას. ეს უკანასკნელი მიმართულება ფიქრობს, რომ ლიბერალებმა უნდა დაიცვან კეთილგანწყობილი ნეიტრალიტეტი კონსერვატიულ მთავრობის მიმართ და ზოგიერთ შემთხვევაში ხმაც მისცენ მთავრობის ზომებს, მაგალითად, მთავრობის პროგრამას, რომლითაც მას განზრახული აქვს შეიტანოს რურის და საკონტრიბუციო საკითხებში სერიოზული ცვლილებები. გარდა ამისა ლიბერალებმა მხარი უნდა დაუჭირონ მთავრობას უმუშევართა დახმარებისათვის აღმშენებლობის ორგანიზაციაში და გადასახადების შემცირების და ეკონომიისაკენ მიმართულ ბიუჯეტის გატარებაში.

კონსერვატორების იმედები

არ მეინიათ

ლონდონი. 11 დეკემბ. კონსერვატორულ წრეებში მტკიცდება რწმენა, რომ ეხლანდელი მთავრობა უნდა დარჩეს თავის ადგილზე და, მისი წინანდელ განზრახვის თანახმად, გამოვიდეს 8 იანვარს თემთა პალატაში. როგორც კონსერვატიულ წრეებში ამბობენ, კონსერვატიული პარტია ეხლაც უდიდესი პარტიაა პალატაში და ეს გარემოება ამართლებს მის დარჩენას სახელმწიფოს სათავეში, სანამ სამინისტრო გადაყენებული არ იქნება ორი დანარჩენ პარტიის გაერთიანებული ვოტუმით.

ნიანგის ცრემლები

საარჩევნო სისტემის ნაკლი

ლონდონი, 11 დეკემბერი. ყველა მიმართულების პრესა აღნიშნავს, რომ თემთა პალატამ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს არსებულ საარჩევნო სისტემის ნაკლულევანებებს და მიმდინარე პოლიტიკასთან ამ სისტემის შეთანხმებას. მესამე ძლიერი პარტიის გაჩენამ, მუშათა პარტიის სახით, შექმნა მრავალ კონკურენციის შეტაკება ერთ და იმავე ადგილას. მაგალითად, მრავალ საარჩევნო ოლქში ერთი მეორეს ებრძოდა 3 კანდიდატი, რის შედეგათ მრავალი გამარჯვებული კანდიდატი გადიოდა ხმათა საეჭვო უმრავლესობით. ამ გარემოებამ ზიანი მიაყენა ყველა პარტიას. ეჭვს გარეშეა, თემთა პალატაში გამომუშავებული იქნება ისეთი ცვლილებები, რომლებიც უზრუნველყოფენ სახალხო წარმომადგენლობის უფრო სწორ გამოხატულებას.

ზოგიერთი გაზეთი უმჯობესათ სთვლის არჩევნების პროპორციონალურ სისტემას.

აჯანყება მექსიკაში

აჯანყება

ბერლინი. 10 დეკემბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ მექსიკის 9 პროვინციაში დაწყებული აჯანყება გავრცელდა ტამპიკოს ნავთის რაიონში. ვერა-კრუცში გაიმართა აჯანყებულ ოლქების რწმუნებულთა ყრილობა დროებითი მთავრობის შესადგენად.

ბერლინი. 11 დეკემბერი. მექსიკის პრეზიდენტმა ომრეგონმა დანიშნა მთავრობის ჯარების სარდლად გენერალი ბალლე, რომელმაც 28.000 კაცისაგან შემდგარი რაზმით გაილაშქრა ვერა-კრუცზე მეამბოხეთა წინააღმდეგ.

უკანასკნელი ცნობების თანახმად, მექსიკაში დაწყებული აჯანყება თანდათან ფართოვდება. სატახტო ქალაქი მეამბოხეებმა დაიკავეს. მოხდა პირველი შეტაკება მთავრობის ჯარებთან. გენერალი ესტრადე მეამბოხეთა მხარეზე გადავიდა. პარტიზანების ცნობილი წინამძღოლი ვილლა თავისი რაზმებით გადავიდა გენერალ სანხესის მხარეზე.

პოლონეთის ამბები

კრაკოვის აჯანყების გარშემო.

ვარშავა. 10 დეკემბ. **კრაკოვის აჯანყების გამო დაპატიმრებულთა რიცხვი 85 კაცამდე. დაპატიმრებულები საშინელ პირობებში იმყოფებიან.**

კამერაში, რომელიც იტევს 5 კაცს, ათავსებენ 30-ზე მეტს. პოლიტიკური პარტიები ჰყავთ სისხლის სამართლის დამნაშავეებთან ერთად. დაპატიმრებულები მოითხოვენ პირობების გაუმჯობესებას, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებიან გაფიცვით.

პოლონეთის პრესა ევროპის მდგომარეობის შესახებ.

ვარშავა. 10 დეკემბ. ოპოზიციის ორგანო „პოლონეთის ხმა“ ფიქრობს, რომ აუცილებელია კერზონის გადადგომა, რაც, გაზეთის აზრით, ცუდ გავლენას იქონიებს ინგლისის პოლიტიკაზე პოლონეთის მიმართ. გაზეთი აღნიშნავს, რომ ბალდვინის მთავრობის დაცემა გააუარესებს საფრანგეთ-ინგლისის ურთიერთობას და გაართულებს გერმანიის საკითხს.

მემარჯვენე გაზეთი „რეჩ პოსპოლიტა“, აღნიშნავს რა, რომ ინგლისის ზოგიერთი პოლიტიკოსები ცდილობენ ევროპაში მშვიდობიანობის დამყარებას საფრანგეთის იზოლიაციის გზით, აცხადებს, რომ ევროპის დამშვიდება, პირიქით, შესაძლებელია მხოლოდ საფრანგეთ-ინგლისის შეთანხმების გზით.

შავრაზმელები.

ვარშავა. 10 დეკემბ. რუსეთიდან დაბრუნებულ პოლიტიკურ მძევლების, უმთავრესად გამოუსწორებელ შავრაზმელების მიტინგმა, მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს პოლონეთის მთავრობისაგან კომუნისტებისათვის სიკვდილით დასჯის შემოღებას.

საფრანგეთი და ინგლისი

პუანკარე იძულებულია აღიაროს სიმართლე.

პარიზი. 11 დეკემბერი. დეპუტატთა პალატაში საგარეო პოლიტიკის საკითხების განხილვის დროს პუანკარემ პასუხი მისცა დეპუტატ-კომუნისტს, რომლის დროს გადაჭრით განაცხადა, რომ საფრანგეთისა და ინგლისს შორის არ არსებობს არავითარი შეთანხმება, **რადგან ინგლისმა უარი სთქვა სამხედრო შეთანხმების ხელის მოწერაზე**. საფრანგეთს, როგორც პუანკარემ განაცხადა, სურდა მხოლოდ ინგლისთან ომამდე არსებული ხელშეკრულების განახლება, პუანკარემ აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ ომამდე სწერდა ინგლისის მეფეს არსებული შეთანხმებების გამოქვეყნების საჭიროების შესახებ. პუანკარემ დასასრულ განაცხადა, რომ ვერც მან, პუანკარემ, ვერც ბრიანმა კანნაში, ვერ მოახერხეს ომამდი არსებული მდგომარეობის აღდგენა. პუანკარემ დაუმატა, რომ საფრანგეთი მზად არის განაახლოს მოლაპარაკება ამ საკითხის შესახებ.

სხვადასხვა

იტალია

პარლამენტის დათხოვა.

რომი. 11 დეკ. პოლიტიკურ წრეებიდან მიღებულ ცნობების თანახმად სესიის გადადებას მოჰყვება პარლამენტის დათხოვა. ახალი არჩევნები მოხდება ალბად, გაზაფხულამდე.

ოსმალეთი

გლეხთა კავშირი.

ანგორა. 9 დეკემბ. ანგორაში გაიხსნა გლეხთა კავშირი.

შეთანხმება ალბანეთთან.

ანგორა. 9 დეკ. მოხდა საბოლოო შეთანხმება ოსმალეთსა და ალბანეთს შორის.

ეგვიპტე

ტუტანკამონის აკლდამა.

ლონდონი. 11 დეკ. ლუქსორიდან მიღებული ცნობით, კარტერის ახალმა კვლევამ ფარაონ ტუტანკამონის აკლდამაში აღმოაჩინა მრავალი ახალი განძეულობანი მათ შორის ვაზები და ნივთები ფარაონის ბეჭედით.

საბერძნეთი

ახალი შეთქმულება.

ბერლინი. 11 დეკ. ათინაში აღმოაჩინეს ახალი შეთქმულება, რომელიც წარმოადგენს ოქტომბრის აჯანყებითი მოძრაობის გაგრძელებას. დაპატიმრებულია მრავალი ოფიცერი.

სისხლისმღვრელი შეტაკებანი.

ბერლინი. 11 დეკ. კვირას ათინაში მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკებანი მონარქისტებსა და რესპუბლიკანებს შორის. წესრიგი აღადგინეს ჯარებმა. მოკლულია ორი, დაჭრილია მრავალი.

დანია

შრომის ხელფასი.

კოპენჰაგენი. 10 დეკემბერი. დანიის მრეწველთა კავშირმა გამოსთქვა აზრი შრომის ხელფასის გადიდების წინააღმდეგ და განაცხადა, რომ იგი თანახმაა შეუდგეს მოლაპარაკებას პროფკავშირებთა ხელფასის გადიდების შესახებ მხოლოთ იმ პირობით თუ სამუშაო დღე გაგრძელებული იქნება.

ნორვეგია

ბრძოლა კომუნისტების წინააღმდეგ.

ქრისტიანია. 10 დეკემბერი. მრეწველთა კავშირმა აღძრა სასამართლოში საქმე გაზეთების „კომუნისტ ბლადეტ“-ის და „არბეიტერ ბლადეტ“-ის რედაქტორების, შეფლეს და ტრანვალის წინააღმდეგ, უკანასკნელთ ებრალება გაფიცვის მოწყობა რკინის ინდუსტრიაში.

ესტონია

სრულიად ესტონიის რკინისგზელთა ყრილობა.

რეველი. 10 დეკემბერი. რკინისგზელთა სრულიათ ესტონიის ყრილობამ მენშევიკების და დამოუკიდებელთა ხრიკების მიუხედავათ 19 ხმის უმრავლესობით 9 ხმის წინააღმდეგ დაადგინა შეუერთდეს სრულიათ ესტონიის პროფკავშირთა გაერთიანებას, რომელიც პროფინტერნის პლატფორმაზე სდგას. ყრილობამ პროტესტი განაცხადა კომუნისტურ ფრაქციისადმი მიმართული რეპრესიების წინააღმდეგ, და კერძოთ, სახელმწიფო ბიუჯეტის განმხილველ კომისიაში კომუნისტ-დეპუტატების მონაწილეობის აკრძალვის გამო.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

ავსტრია

ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეების გაფიცვა.

ბერლინი. 11 დეკემბერი ავსტრიის მთავრობის მოლაპარაკება ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებთან უშედეგოთ დამთავრდა. მთავრობამ უარი უთხრა მოსამსახურეებს რკინისგზელებისათვის მიღებული ხელფასის მატების გავრცელებაზე. ორშაბათიდან ფოსტა-ტელეგრაფის ყველა მოსამსახურეები გაიფიცენ.

რკინისგზელები მხარს უჭერენ.

პარიზი. 11 დეკემბერი. ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა გაფიცვას შეუერთდენ რკინისგზელები, 28 ათასი კაცი.

მთავრობის გადადგომის წინ.

ბერლინი. 11 დეკემბერი. ავსტრიის მთავრობამ განაცხადა, რომ ის გადადგება, თუ გაფიცვა გამოცხადებული იქნა.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

მოლაპარაკება იტალიასთან.

მოსკოვი. 11 დეკ. **იტალიასთან სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ მოლაპარაკების გაგრძელების მიზნით იტალიაში გაემგზავრა საგარეო ვაჭრობის საგარეო კომისარიატის კოლეგიის წევრი ამხ. იანსონი.**

დელეგატების გამგზავრება.

მოსკოვი. 11 დეკემბერი. გერმანიის დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაციების კონგრესზე დასასწრებად ბერლინში გაემგზავრენ სრულიად რუს. პროფკავშ. საბჭოსთან არსებულ „გერმანიის მშრომელთა დამხმარე ც. კ.“ რწმუნებული ამხ. ეიზერტი, გერმანიის ბავშვთა დამხმარე ლიგის წარმომადგენელი მილოვიდოვა და პეტროგრადის მუშა-ქალების წარმომადგენელი ამხ. ნიკოლაევა.

ვაჭრობა სპარსეთთან.

მოსკოვი. 11 დეკემბერი. რუსეთ-აღმოსავლეთის პალატის თათბირმა მიზანშეწონილად აღიარა არ დააწესოს ნორმები სპარსეთში შაქრის გატანისათვის და აგრეთვე სასურველად სცნო, რომ სპარსეთის ვაჭრებმა უშუალოდ შაქრის ტრესტთან დადვან ხელშეკრულებები. განზრახულია ნახევარი მილიონი ფუთი შაქრის გატანა, რაც ომამდი არსებული შაქრის ექსპორტის 30 პროც.-ს შეადგენს.

რუსეთ-ოსმალეთის სავაჭრო ხელშეკრულება.

ოდესა. 11 დეკემბერი. ოდესაში მოსულ გემ „კრასნოდარ“-ის კომანდის სიტყვების თანახმად, სტამბოლში დარწმუნებული არიან, რომ **ახლო მომავალში დადებული იქნება რუსეთ ოსმალეთის სავაჭრო ხელშეკრულება.**

სტამბოლში შერეული რუსეთ-ოსმალეთის კომისია იხილავს საკითხს საბჭოთა კავშირისათვის მეფის მთავრობის საელჩოს შენობის გადაცემის შესახებ; კომისია იხილავს აგრეთვე რუსეთის იმ 4 გემის საკითხს რომელნიც წაყვანილნი იყვნენ პირეიში.

შვეციის მოგზაურის სვენ გედინის ჩამოსვლა.

მოსკოვი. 11 დეკემბერი. მოსკოვში ჩავიდა შვეციის მოგზაური სვენ გედინი, რომელსაც შეხვდენ შვეციის სავაჭრო მისიის წარმომადგენლები, და აგრეთვე გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის, განათლების კომისარიატის და სამეცნიერო ორგანიზაციების წარმომადგენლები. საუბარში სვენ გედინმა აღნიშნა თავისი სიყვარული რუსეთისა და რუსეთის ხალხისადმი და გამოსთქვა სურვილი, რომ ჩქარა იქნეს აღდგენილი რუსეთის მეურნეობა.

ახალი არჩევნები.

მოსკოვი. 11 დეკემბერი. აქამდე არჩეულია სულ სასოფლო საბჭოების, „სავოლოსტო“ ყრილობების და „ვოლოსტის“ აღმასკომების 69,9 პროც. ქალაქის საბჭოების, სამაზრო ქალაქებში,—26,9 პროც., ქალაქის საბჭოების საგუბერნიო ქალაქებში—34,1 პროც., სამაზრო ყრილობები—35,2 პროც., საგუბერნიო ყრილობები—15,3 პროც.

რკინის გზათა ექსპლოატაციის ყრილობა.

მოსკოვი. 11 დეკემბერი. 7 დეკემბერს გაიხსნა რკინის გზათა ექსპლოატაციის სრულიად კავშირის ყრილობა. გზათა სახალხო კომისარმა, ამხ. ბორისოვმა, მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა, რომ იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომის პირობებში ტრანსპორტს წილად ხვდა ძლიერ რთულ საქმეების შესრულება. მიუხედავათ ამისა ტრანსპორტი იდგა თავისი მდგომარეობის სიმაღლეზე, რითაც ჩვენ უნდა უმადლოდეთ ტრანსპორტის მუშათა რევოლიუციონურ ენერგიას და ერთსულოვნებას.

გზათა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრმა, ამხ. ხალატოვმა, თავის მისალმების სიტყვაში აღნიშნა ყრილობის მიერ გადასაჭრელი მთავარი საკითხები. სამოგზაურო მიმოსვლა, რომელიც შეადგენს რკინის გზათა მუშაობის 40 პროც. და ექსპლოატაციის მეთოდების გამარტივება.

მისალმებაში წითელი არმიის სახელით ამხ. არქანოვმა აღნიშნა, რომ მთავარსარდლის კამენევის სიტყვით, წითელ არმიის გამარჯვებათა 60 პროც. დამოკიდებული იყო რკინის გზების მუშაობაზე.

გზათა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრმა, კოგანმა, თავის მოხსენებაში სატარიფო რეფორმების შედეგების შესახებ აღნიშნა, რომ რეფორმების ფინანსიური შედეგი ძლიერ ხელსაყრელია. საერთოდ, მთელი სატარიფო ფასების აწევა 1923 წლის განმავლობაში მშვიდობიანობის დროის ტარიფებთან შედარებით შეადგენს მხოლოდ 23 პროცენტს.

ამხ. კრესტინსკის ჩამოსვლა.

მოსკოვი. 11 დეკემბ. მოსკოვში ბერლინიდან ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი გერმანიაში ამხ. კრესტინსკი.

ინვალიდთა დამხმარე კომიტეტების ყრილობა

ყრილობის გახსნა

მოსკოვი. 11 დეკემბერი. **9 დეკემბერს გაიხსნა სრულიათ კავშირის ინვალიდთა დამხმარე კომიტეტების ყრილობა.** ამხ. ცროცკაიამ, კრების გახსნისას აღნიშნა, რომ კომიტეტების მთავარ ამოცანას წარმოადგენს შრომის უნარიან ყველა ინვალიდების ჩაბმა წარმოებაში და სამკურნალო დახმარების აღმოჩენა შრომის უნარდაკარგულ ინვალიდებისათვის. **მომავალი წლის ლოზუნგია: არც ერთი ინვალიდი არ დარჩეს დახმარების გარეშე, არც ერთი ინვალიდი არ გამათხოვრდეს.**

მთავარსარდალმა ამხ. კამენევმა აღნიშნა, რომ წითელი არმია ძლიერ დაინტერესებულია თავისი ინვალიდების და ომში დალუპულ მეომართა ოჯახების ბედით. სამხედრო მოსამსახურეები ნებაყოფლობით სწირავენ თავიანთ ჯამაგირებიდან შესაწირავ თანხას ინვალიდების დასახმარებლათ.

სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარმა ამხ. მილიუტინმა აღნიშნა, რომ წითელ არმიაში ითვლება დაახლოვებით 100.000 ინვალიდი. ყოველთვიურათ მათი უზრუნველყოფა ჯდება დაახლოებით 58 დან 600 საქონლის კაპეიკამდე. სრულიათ კავშირის ცაკმა ომის ინვალიდთა მდგომარეობა გაათანასწორა შრომის ინვალიდების მდგომარეობასთან. საკანონმდებლო დაწესებულებებში ამჟამად მზადდება კანონი ინვალიდების სასარგებლოთ სპეციალურ გადასახადის შემოღების შესახებ, რაც ინვალიდთა საერთო რიცხვის 60 პროც. უზრუნველჰყოფს. დანარჩენი 40 პროც. უნდა უზრუნველჰყონ ინვალიდთა დამხმარე კომიტეტებმა.

მოხსენებაში სრ. კავშირის ინვალიდთა დამხმარე კომიტეტების მუშაობის შესახებ ამხ. მირონოვმა აღნიშნა, რომ საკავშირო რესპუბლიკების ტერიტორიაზე ირიცხება 3 კომიტეტი. ეს შეადგენს კომიტეტების დასახულ ქსელის 75 პროც.

მომავალ წლისათვის ინვალიდთა დამხმარე კომიტეტების ცენტრალურ ორგანიზაციას განზრახული აქვს გააერთიანოს ინვალიდების დახმარების საქმე ცალკე რესპუბლიკებში სრულიათ კავშირის სამმართველოს სახით. ცალკე რესპუბლიკების ორგანიზაციებს ავტონომია მიეცემა. სოფლებში ინვალიდთა დამხმარე კომიტეტები გლეხთა ურთიერთ დახმარების კომიტეტებთან ერთად იმუშავებენ.

საბჭოთა კავშირის ვაჭრობა ევროპასთან

ამხ. სკობელევის ცნობა

მოსკოვი, 11 დეკემბერი. მოსკოვში ჩამოვიდა საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის წარმომადგენელი პარიზში ამხ. სკობელევი, რომელმაც რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს განუცხადა: „არკოსმა“, რომელიც არის მომავალი ჩვენი სავაჭრო წარმომადგენლობის იაჩეიკა საფრანგეთში,—1921 წლ. 21 ნოემბრიდან 1923 წ. 1 ოქტომბრამდე შეისყიდა 15.775.000 ფრანკის საქონელი და გაჰყიდა 20 მილ. ფრანკის საქონელი, ამას წინად ხელმოწერილ იქნა და წარედგინა დასამტკიცებლად ნავთის სინდიკატს 2 წლის ვადით დადებული ხელშეკრულება 10.000 ტონა ნავთის პროდუქტების გაყიდვის შესახებ. ჩვენი მონაწილეობა ლიონის ბაზრობაზე, სადაც გაყიდულ იქნა 60.000 გ. სტერლინგის საქონელი, იყო დიდი ნაბიჯი საფრანგეთთან ვაჭრობის განვითარებისაკენ. უკანასკნელ ხანებში ჩვენი კომერციული ოპერაციები სწრაფად ფართოვდებიან. 2 წლის მუშაობის დროს საფრანგეთის საქმიანი წრეები დაარწმუნდენ ჩვენი კომერციულ ორგანოების უნარიანობაში. პარიზის „არკოსმა“ უკვე მიიღო სათამასუქო კრედიტი საფრანგეთის ფირმებისაგან, რომლებიც გვაძლევენ ჩვენ საქონელს საკომისიოთ. საქმიანი საფრანგეთი გრძნობს, რომ საფრანგეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის ხელშეკრულების უქონლობა ხელს უშლის საქმიანი ურთიერთობის განვითარებას. საფრანგეთში დაინტერესებული არიან საფრანგეთის კაპიტალის ჩვენ საგარეო ვაჭრობაში შერეულ საზოგადოებებში და ჩვენ მრეწველობაში დაბანდებით. ამ საკითხში ჩვენ გამოვედით ხელშეკრულებათა სფეროდან და ხელი მოვკიდეთ კონკრეტიულ საქმეს.

საფრანგეთის ეკონომიურ წრეებში მთელი თავისი სიგრძე—სიგანით დაისვა საკითხი საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირის შორის ურთიერთობის დამყარების შესახებ. ამან მიიღო თავისი გამოხატულება საფრანგეთის პრესაში და ეს გარემოება ერთგვარ ზეგავლენას ახდენს საფრანგეთის მთავრობაზე“.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარა

ნავთსადგურში.

ბათომი. 10 დეკემბერი. 8 დეკემბერს გავიდა ინგლისისაკენ ორი ინგლისის გემი „არგუს“-ი და „ნავსიქა“, რომელთაც არკოსისათვის წაიღეს პირველმა 380.281 ფუთი, მეორემ 392.418 ფ. ნავთი.

სახალხო კომისართა საბჭოს პრეზიდიუმი.

ბათომი. 11 დეკემბერი. სახალხო კომისართა საბჭოს პირველ პლენარულ სხდომაზე არჩეულ იქნა პრეზიდიუმი, რომელშიაც შევიდნენ: თავმჯდომარე ამხ. ხიმშიაშვილი, წევრები ამხ. ამხ. ლორთქიფანიძე, და ქავთარაძე, კანდიდატი ამხ. ჩალოღლი.

სომხეთი

სომხეთის ცენტ. აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმი.

ერევანი. 10 დეკემბერი. სომხეთის ახლად არჩეულმა ცენტ. აღმას. კომიტეტმა პირველ სხდომაზედვე აირჩია სომხეთის ც. ა. კ. პრეზიდიუმი და სახალხო კომისართა საბჭო.

სომხეთის აღმ. კომიტეტში შევიდენ: თავმჯდომარედ ამხ. აბარცუმიანი, წევრებად: ამხ. აზატიანი, შახსუვარიანი, შახგელდიანი, ბალიანი, მეგრამიანი და ოვსეპიანი, მდივნად—ამხ. ტატიანი.

სახალხო კომისართა საბჭო ძველივე დარჩა ამხ. ლუკაშინის თავმჯდომარეობით, მუშათა და გლეხთა ინსპექციის გარდა, რომლის რეორგანიზაცია და კომისრის არჩევა დაევალა სომხეთის სახალხო კომისართა საბჭოს.

აზერბეიჯანი

ბრძოლა მოსავლის მტრებთან.

ბაქო. 10 დეკემბერი. აზერბეიჯანში აუარებელ მინდვრის თაგვის გაჩენის გამო, აზერბეიჯანის მიწათმოქმედების კომისარიატმა დაავალა მცენარეულობის მფარველ საზოგადოებას (ოზრა), სასწრაფოდ შეიმუშაოს გეგმა ამ მოსავლის მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად. მინდვრის თაგვი განსაკუთრებით გამრავლებულია ზაქათალის მაზრაში და დიდ ზარალსაც აყენებს პირნახულს.

პარტიული ცხოვრება

პარტიის ამოცანები

პეტროგრადი. 7 დეკ. საგუბერნიო პარტიულ კონფერენციის რეზოლიუციაში პარტიის ამოცანების შესახებ აღნიშნულია, რომ ნდობა, რომელიც მოიპოვა რუსეთის კომპარტიამ მუშებს შორის, რჩება სრულიად ურყევი, უპირველესი ამოცანაა—პარტიის რიგებში დაზგების მუშათა მნიშვნელოვან რაოდენობის ჩაბმა; ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ჟამად უპარტიო მასაზე გავლენის გაძლიერებას ხელს უწყობს სამეურნეო დარგში მიღწეული შედეგები.

რეზოლიუციაში, რომელიც მიღებულ იქნა პარტიისა და გლეხობის ურთიერთობის საკითხის შესახებ, ხაზგასმულია, რომ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში სოფლათ კვლავ იზრდება ნახევრათ პროლეტარულ ელემენტების ფენები, კერძოთ მოჯამაგირეთა რიცხვი. აგრონომიული დახმარებით და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის გაუმჯობესებით; პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლიათ მეტათ განამტკიცონ თავისი პოზიცია სოფლათ. საჭიროა პარტიის რიგებში ჩაბმულ იქნეს სოფლის პროლეტარული და მოჯამაგირეთა ელემენტები.

მოსწავლე ახალგაზრდობასა და მასწავლებელთა შორის, განსაკუთრებით კი სოფლის მასწავლებელთა შორის, შემჩნეულია გარდატეხა საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოთ; ამ გარდატეხას პარტიამ უნდა მიაქციოს უდიდესი ყურადღება. გარდატეხა მოხდა აგრეთვე ინტელიგენციაში. მაგრამ დადებით შედეგებთან ერთად, ეს გარდატეხა ააშკარავებს ახალ საშიშროებას, რადგან წვრილბურჟუაზიული წრეების ნაწილი შეეცდება შეიტანოს პარტიის მერყევ ელემენტებში „სმენოვეხური“ სულისკვეთება.

მუშათა დემოკრატიის საკითხის შესახებ რეზოლიუცია აღნიშნავს, რომ ეს საკითხი უნდა დაისვას პროლეტარიატის დიქტატურის კონკრეტიულ პირობებში. ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში პარტია უნდა დაკმაყოფილდეს, რევოლიუციის ინტერესებისათვის, მუშათა დემოკრატიის პრინციპის კანონ-შეწონილი გამოყენებით, ბოლშევიკებისათვის კი უმაღლესი კანონია—რევოლიუციის სარგებლობა.

მუშათა დემოკრატია აღნიშნულ ფარგლებში გულისხმობს მნიშვნელოვან საკითხების თავისუფლათ, საჯაროთ განხილვას პარტიის წევრების მიერ, მაგრამ ის არ გულისხმობს ჯგუფებისა და ფრაქციის დაარსების თავისუფლებას პარტიის შიგნით. ფრაქციების არსებობა იმ პარტიის შიგნით, რომელიც განაგებს სახელმწიფოს, ნიშნავს რამოდენიმე მთავრობის არსებობას, რაც დაღუპვამდის მიიყვანს პროლეტარულ დიქტატურას. ფორმულა „მხოლოდ ქვევიდან ზევით“—ანარქისტული და მენშევიკურია, ფორმულა „მხოლოდ ზევიდან ქვევით“—ბლანკისტურია. საკითხის ბოლშევიკური დაყენება ასეთია: „ერთდაიმავე დროს ქვევიდან ზევით და ზევიდან ქვევით“. მუშათა დემოკრატია შეიცავს არჩევნების გატარებას ქვევიდან ზევით. მუშათა დემოკრატიის სისტემა დიქტატურის პერიოდში შეიცავს დანიშვნის ელემენტს, თუ ამას მოითხოვს პარტიისა და პროლეტარულ სახელმწიფოს ინტერესები. უპირველესი ამოცანაა—განსაკუთრებული ყურადღება პარტიის მუშურ შემადგენლობას; ჩვენ უნდა ჩავაბათ მუშები, მწარმოებელ სამუშაოსაგან მოუშორებლივ, პარტიის ყველა საქმეებში.

პრაქტიკულ ღონისძიებათა სფეროში კონფერენცია წინადადებას იძლევა:

საგუბერნიო პარტიული კონფერენციები უნდა შეუდგენ პარტიულ აპარატის მუშაობის გაშუქებას ქვევიდან. საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტების არჩევნებს უნდა მიეცეს უფრო ფართე და საჯარო ხასიათი. დანიშვნა საჭიროა დაყვანილ იქნეს მინიმუმამდე, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე შეეხება პირველი საფეხურის მუშათა კოლექტივებს.

აღნიშნავს რა პარტიულ პრესის გაუმჯობესებას, რეზოლიუცია ამბობს, რომ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მუშკორების ქსელის გადიდებას.

რეზოლიუცია აგრეთვე აღნიშნავს, რომ პარტიის წევრთა ცალკეულ ჯგუფების მატერიალური მდგომარეობის უთანასწორობა ართულებს პარტიულ ცხოვრებას. მორიგი ამოცანაა—ბრძოლა ფუფუნების წინააღმდეგ.

ქალთა შორის მუშაობა მანგლისის რაიონში

ქალთა შორის მუშაობა მანგლისის რაიონში ნოემბერში გამოცოცხლდა. ზაფხულში ქალები მონაწილეობას ღებულობდნენ მინდვრის მუშაობაში და ამის გამო მუშაობა შეჩერებული იყო. 17 ნოემბერს შესდგა მანგლისის რაიკომის წევრების სხდომა, რომელმაც გამოყო ერთი ამხანაგი ქალთა შორის სამუშაოთ. აგრეთვე უჯრედებში დანიშნულ იქნენ ქალთა შორის მომუშავე ორგანიზატორები. მანგლისის რაიონი გაყოფილი იქნა სამ პუნქტად: პრიუტი, მანგლისი და ახალ-სოფელი; ამ პუნქტებში სისტემატიურად იწარმოებს მუშაობა დელეგატ-ქალთა შორის.

ორგანიზატორების სხდომა შესდგა 3-ჯერ. დღის წესრიგში იდგა საკითხი ახალი დელეგატების არჩევნები და წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია დელეგატ-ქალთა შორის და მოწვევა სარაიონო დელეგატების კრებისა მანგლისში.

18 ნოემბრიდან ამხანაგები შეუდგენ კრებების ჩატარებას. ჩატარდა მანგლისის რაიონში 10 კრება. კრებებს დაესწრო 360 ქალი. დელეგატებად იქნა არჩეული 35 ქალი.

24 ნოემბერს იქნა მოწვეული წერაკითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლების მასწავლებელთა თათბირი. თათბირს დაესწრო 5 მასწავლებელი და 7 ორგანიზატორი, შედგენილ იქნა სია დელეგატების, რომელნიც დაიწყებენ სწავლას დღიდან არჩევნებისა.

აგრეთვე თათბირმა დაადგინა კვირაში ერთხელ ქოხ-სამკითხველოში შემოღებულ იქნას გლეხ-ქალთა დღე, ჟურნალ გაზეთების კითხვით და სხვა.

25 ნოემბერს შესდგა მანგლისში სარაიონო დელეგატთა კრება რომელზედაც გაკეთებულ იქნა მნიშვნელოვანი მოხსენებები. გაეგზავნა მისალმების დეპეშა ტფილისის ქალთა განყოფილებას. კრების დახურვის შემდეგ დელეგატ-ქალებს აღმასკომმა გაუმართა სადილი.

ა. დანელია.

ჯანმრთელობის კომისარიატის კომუჯრედში

მიმდინარე წლის 3 დეკემბერს შესდგა აღნიშნულ კომისარიატის კომუჯრედის ღია სხდომა, უპარტიოთა თანდასწრებით.

დღის წესრიგში იდგა ტფილისის საბჭოს გადარჩევის საკითხი. მომხსენებელმა ამხ. ჩიხლაძემ განუმარტა მსმენელებს საბჭოების მნიშვნელობა მშრომელთა ცხოვრებაში, დაახასიათა საბჭოს მუშაობა საფინანსო პოლიტიკაში, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის და სხვა დარგებში. აღნიშნა, რომ საბჭოთა გადარჩევა ხდება ამ ორგანოს გადახალისების და მუშაობის გაცხოველების მიზნით. დასასრულ წაიკითხა „ნაკაზი“ დეპუტატებისადმი.

მიღებულ რეზოლიუციაში სხდომა ღებულობს რა დეპუტატებისადმი ნაკაზს, წინადადებას აძლევს ახლად ასარჩევ საბჭოს გააღრმავოს და გააფართოვოს თავის მუშაობა მშრომელთა ინტერესების დასაცავად; ხელი შეუწყოს საზოგადოთ მშვიდობიან პოლიტიკას, მაგრამ იმავე დროს მუდამ მზად იყოს მუშურ გლეხურ ხელისუფლების ყოველგვარ მტრების ასალაგმავად.

გაუმარჯოს პროლეტარიატის და ულარიბესი გლეხობის ორგანოს—ტფილისის საბჭოს!

გაუმარჯოს კომუნიზმს.

ნ.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(11 დეკემბერი).

ჩერ. ოქროები — — —	260,000
გირ. სტერლინგ. [illegible]	255,000
ჩეკები —	255,000
დოლლარები [illegible] —	58,500
ჩეკები —	55.500
ოსმ. ქაღ. ლირა	32.000
იტალიური ლირა	1840
ფრანგული ფრანკი	2760
საბჭ. ფულის ნიშნები	15

გერმანიაში მყოფ ქართველ სტუდე ტთა კავშირის მისალმება საქ. სახ. კო საბჭო

საქ. სახ. კომისართა საბჭოს [illegible] გერმანიიდან მიღებულია შემდეგი დეპეშა:

„გერმანიაში მყოფი საბჭოთა საქართველოს სტუდენტთა კავში პირველი კონფერენცია სალამს უგზავნის საბჭოთა საქართველოს მ რობას და უსურვებს გამარჯვებას კულტურულ და ეკონომიურ აღ ძინების საქმეში“.

კონფერენციის პრეზიდიუმის წევრნი: **წულეისკირი, მაჩ[illegible] და ედიბერიძე.**

მუშკოპის ფასები.

პური 1 ხარ.—1100 ათ., პური 2 ხარ.—900, ძროხის ხორცი—4,300 ათ. ცხვრის ხორცი—5200 ათ. ფხვნილი შაქარი—7920 ათ შაქარი, რაფინადი—12,500 ათ., ბრინჯი ალდ.—2400. ათ. კარტოფილი—300. ათ. ვერმიშელი—3400 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

პური 1 ხ.—1500 ათ., პური 2 ხარ.—1 მილ., ძროხის ხორცი 45—5000 ათ. ცხვრის ხორცი—5500 ათ. შაქარი რაფინადი—10—12,500 ათ. ფხვნილი შაქარი—8250 ათ. ბრინჯი ალდაშის 2500 მან. ათ. ვერმიშელი—3500 ათ. კარტოფილი—350—400 ათ.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

შაქრის ბაზარზე განწყობილება გაცხოველებულია; პურეულის ბაზარზე—უმოქმედობაა; აგრეთვე მცენარეულიც და ტეხნიკური ცხიმების ბაზარზე; საფეიქრო საქონელზე—სუსტია; საქონლის, ქონის და რძის ნაწარმოებზე—მტკიცეა, თუშური მატყლის ფასები მტკიცეა.

ბირჟის გარეშე გარიგებანი.

8 დეკემბერს ბირჟის გარეშე დადებულია 32 გარიგება, სულ 117,809 ჩერვ. მან. თანხისა.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

ორი დღის განმავლობაში ჩერვონეცის კურსმა აიწია 20 მილიონით. მოთხოვნილება უცხო ვალიუტაზე, მეტადრე სტერლინგებზე და დოლარებზე ძლიერდება.

ბირჟის მოწოდება.

„კოჟსინდიკატ“-ის პროდუქცია. ბორჯომის ქარხნის ნაწარმოები. შაქარი რაფინ. 1 და 2 ხარ. ყურაგა. ლაგოდეხის თამბაქო 1 და 2 ხარ. საშენებელი ლურსმნები. შაქრის ფხვნილი „იავა“-სი. შაბიამანი. ჩაი. რუს. მანუფაქტურა. ქიმიური ნაწარმოები. კაუსტიური სოდა. ასანთი რუს. ს. მ. უს. საფეიქრო ტრესტის პროდუქცია (საპონი, ნართავი, ოლიფას ზეთი და სხვ.). ცემენტი და ეტერნიტი. მზესუმზირას ზეთი. ყუბანის ფქვილი. მაკარონი და ვერმიშელი. რკინეულობა. ოზურგეთის ჩაი საბზა.

ბირჟის განწყობილება.

„კოჟსინდიკატ“-ის პროდუქცია. შაქარი ფხვნილი და რაფინადი. რუს. მანუფაქტურა. სალობასი მზესუმზირას ზეთი. პორტლანდის ცემენტი. ყუბანის ფქვილი. ტეხნიკური ცხიმი. ჩაი. საშენებელი ლურსმნები ასანთი რუს.

ოფიციალური გარიგებანი

ბარადანის საზზა—4 მ. 50 კ. ჩერ. ფუთში, ფრანკო-გამყიდველის საწყობი.

ყურაგა—3 მან. ფუთში, ფრ გამყიდველის საწყობი. ხრომის (ქიმ.) 27 მ. ფუთში. რკინის (ქიმ.)—29 მ. 2 ნახევარი კაპ.

შაქარი რაფინ. 2 ხარ.—14 ჩერ. მ. ფუთში, ფრანკო-გამყიდ საწყობი.

ტფ. ბირჟის კვირეული

(1—8 დეკემბ.)

1—8 დეკემბრის განმავლ ბირჟის კრებებს დაესწრო 290 ვრი და 121 გარეშე პირნი. დროს დადებულია სავალუტო გება—218 და საქონლის—17. ნდო გარიგებათა ჯამი უდრის 80 ჩერვ. მან, ან 1783228000 მან. ბონებით, ხოლო საქონლ რიგებების—122728 ჩერ. მან. 2518540568 ათ. მან. ბონებით, 202976 ჩერ. მან., ან 4301768 ათ. მან. ა. კ. ბონებით.

მყიდველები იყვნენ: სახელმწ დაწესებულებები—109, კოოპერ ვები—17, საზოგადო ორგანიზ. და კერძო პირნი—95. გამყიდველ ბი იყვნენ სახ. დაწესებ.—187 ოპერატივები—5, საზოგ. ორ —13 და კერძო პირნი—30. ვალიუტა: სახ. დაწესებ.—45820 მან., კოოპერატივებმა—2900, ორგანიზ.—4250 და კერძო ბმა—27278 მან.; გაყიდეს ვალ სახ. დაწესებ.—34960 ჩ. მან., ოპერატივებმა 420, საზ. ორგანი ციებმა—8870 და კერძო პირ 32998 მან.

იყიდეს საქონელი: სახ. დაწ —91425 ჩ. მან., კოოპერატივებ 1225, კერძო პირებმა—30768 გაყიდეს საქონელი: სახ. დაწ 48247 მ. კოოპერატივებმა 7630 კერძო პირებმა—66850 მ.

ჩერვონცების და ამიერ კავკასიის ბონების შეფა დება

(11 დეკემბერი.)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	
1 კ.	—260.000,	60 კ.	[illegible]
2 „	—520.000,	70 „	[illegible]
3 „	—780.000,	80 „	[illegible]
4 „	—1.040.000,	90 „	[illegible]
5 „	—1.300.000,	1 მ.	[illegible]
6 „	—1.560.000,	2 „	[illegible]
7 „	—1.820.000,	3 „	[illegible]
8 „	—2.080.000,	4 „	—104.000
9 „	—2.340.000,	5 „	[illegible]
10 „	—2.600.000,	6 „	—156.000
20 „	—5.200.000,	7 „	—182.000
30 „	—7.800.000,	8 „	—208.000
40 „	—10.400.000,	9 „	—234.000
50 „	—13000.000,	1 ჩერ.	—260

სასოფლო მეურნეობა

ახალციხის მაზრა

აგრონომიული ქვე-განყოფილების მუშაობა წარსულ სასოფლო-სამეურნეო წელში მეტად შეზღუდული იყო. მთელს მაზრაში იყო მხოლოდ სამი აგრონომი. შექმნილ პირობების გამო აუცილებელი შეიქნა სათესლე მასალის, ულარიბეს მეურნეობისთვის, ფართოდ დარიგება. ეს ფუნქცია ცენტრის მიერ დავალებულ იქნა აგრონომიულ ქვეგანყოფილებაზე. უძვირფასესი დრო, რომელიც უნდა მოხმარებოდა აგრონომიულ დახმარების საქმეს, გაბანდულ იქნა სათესლე მასალის დარიგება-აკრეფაში. ამისათვის სრულიად საქართველოს აგრონომთა ყრილობამ დაადგინა სათესლე მასალის დარიგება-აკრეფის ფუნქცია სრულიად ჩამოაშოროს მას. ეხლა აგრონომიული ქვეგანყოფილება მთელ თავის აგრონომიულ ძალას მოახმარს მხოლოდ გლეხთა მეურნეობის უშუალო დახმარებას.

ამას წინად ახალციხის სამიწათმოქმედო განყოფილების ყველა ქვეგანყოფილებათა გამგეების განსაკუთრებულ თათბირზე სხვათა შორის დასახულ იქნა გეგმა აგრონომიულ ქვე-განყოფილების მომავალი მუშაობის და საბჭოთა მეურნეობის შესახებ.

ახალციხის მაზრაში მომავალ სასოფლო-სამეურნეო წელში აგრონომიული დახმარება მოხდება შემდეგნაირათ. სასოფლო-სამეურნეო წლის დაწყებისთანავე ორი აგრონომი საჭირო სამეურნეო იარაღებით წავლენ ორ რაიონში და იქ სასოფლო მეურნეებთან მივლენ და თავიანთი იარაღებით მოეხმარებიან ხვნასა და თესვაში. ამავე დროს აწარმოებენ მუშაობას ლექციებისა და საუბრების სახით. გლეხების მამულებში სცდიან სიმინდის მწკრივში თესვის პრინციპს გაწმენდილი მასალით და იქვე გვერდით შეადარებინებენ გლეხს ჩვეულებრივ, გაუწმენდელ მასალით, დათესილი ყანის მოსავლიანობას. ასეთი შედარებითი მეთოდით გლეხი დარწმუნდება პრაქტიკულათ, თუ რომელი მეთოდი სჯობიან. ძველი, მამაპაპეული, თუ გაწმენდილი თესლით მწკრივში თესვა.

გლეხს მიწოდებული ექნება სასოფლო-სამეურნეო იარაღები, თვით მას მამულში იქნება მოწყობილი აგ ნომების მიერ სანიმუშო ნათესი, მელიც შემდეგში მისაბაძი იქ მახლობელ სოფლებისათვის. თვ ახალციხეში სამიწათმოქმედო ხალხო კომისარიატი აწყობს ბი სხვადასხვა მანქანებთან საბრძ ველად, და იქვე ხსნის შესაფერ ლების საწყობს. რასაკვირველია, საწყობიც ფართოდ იქნება გამო ნებული გლეხთა მეურნეობის და მარებლად.

ალმასკომი თავისი საშუა ამუშავებს ხილის ერთ დიდ ბაღს ლოებით 22 დესეტინას, რომე უწოდებენ „ბენარას“. იქ დაქირა ლია გამგეთ ცნობილი მებაღე წარი ხეების მოვლა უკვე სწარმ ალმასკომს საბჭოთა მეურნე სახით აქვს კიდევ სარძეო „დიბაკი“. აშენებულია საქონ სათვის ახალი ბოსელი; ყველ კარაქის გამოსაყვანი სპეცია შენობა მოწყობილია. თვით ში არის მოწყობილი სამკ პუნქტი, სადაც არის ერთი ძვ სი ბუღა-ხარი და ულაყი რომელნიც მიღებულნი არიან მოქ. კომისარიატისაგან. ალ ყავს აგრეთვე გასამრავლებლა გასავრცელებლათ ჯიშიანი ქა რომელთაც უვლის სპეცია დაქირავებული პირი. მექათმ აგრეთვე მეფუტკრეობა მოწ ლია ქალ. ახალციხის მახლ მდებარე საფარის მონასტრის მულში.

ალმასკომს არ ჰქონდა საშუ თავისი ძალით დაემუშავებინა სახნავ-სათესი მამული ე. წ. „ ლა“. წელს ამ მამულს იჯარით ლევთ გლეხების კოლექტივს კუთრებულ პირობებში. გლ უნდა დახნან და მოაყარონ ეხლავე.

ეს მამული იმყოფება ა ნის გზის პირზე ქალ. ახალც სამი ვერსის დაშორებით და როგორც საჩვენებელი მინდორი სარგებლობას მოუტანს მის გლეხობას.

კოოპერაცია

ცეკავშირის სასოფლო-სამეურნეო დარგში

საორგანიზაციო განყოფილების დახმარებით ცეკავშირის სასოფლო სამეურნეო დარგმა, რომელიც შესდგება საწარმოო საკრედიტო და აგრონომიული ქვე-განყოფილებისაგან, შეასრულა მიმდინარე წლის ბოლო ხანებში შემდეგი მუშაობა.

დაარსებულ იქნა გორის მაზრაში მთელი რიგი ამხანაგობებისა რიცხვით შვიდამდე და შეიქმნა მათი კავშირი,—„წითელი ქართლის" სახელწოდებით. ამ კავშირში შედის შემდეგი ამხანაგობები: 1) ამხანაგობა „ატანა" დაარსებულია 1923 წ. 17 ივლისიდან; მოქმედების რაიონია სოფელი ატენი; 2) ამხანაგობა „გემოვნება" დაარსებულია 1923 წ. ივლისში; სამოქმედო რაიონი შინდისია და მის გარშემო მდებარე სოფლები. 3) ამხანაგობა „ლებურა" დაარსებულია 1923 წ. 20 ივლისს; მოქმედების ფარგალი ქვემო-ჭალის რაიონია; 4) ხიდისთავის ამხანაგობა „ატამი" დაარსებულია 18 ივლისს 1923 წ. წესდება დამტკიცებულია ამა წლის 11 აგვისტოს, სამოქმედო რაიონი სოფელი ხიდისთავია; 5) ამხანაგობა „მეჯვდა" დაარსებულია 1923 წ. მისი სამოქმედო რაიონი სოფელი მეჯვრისხევია; 6) სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა „ბოსტანი" დაარსებულია წ. 26 ივლისს. წესდება დამტკიცებულია 11 აგვისტოს; მოქმედების რაიონი სოფელი თედოწმინდაა; 7) ამხანაგობა „დიდი ლიახვი" დაარსებულია 1923 წ. ივლისში; მოქმედების რაიონი სოფელი ტყვიავი. გარდა ამისა ამ წელიწადშივე დაარსებულია მესაქონლეთა ამხანაგობა „თრიალეთი", რომლის მოქმედების ფარგალი ბაშკიჩეთის რაიონია (ბორჩალოს მაზრა).

დაარსებულია აგრეთვე ზემო იმერეთის მეფუტკრეთა ამხანაგობა—„ფუტკარი და სკა", სიღნაღის მაზრის მეთამბაქოეთა ამხანაგობა „წითელი ლაგოდეხი" (ტფილისის მაზრა) და საალმშენებლო სამელიორაციო ამხანაგობა „აშკავეთი". განზრახულია და წინასწარი მუშაობა შესრულებულია ამხანაგობის დასაარსებლად შემდეგ ადგილებში: 1) თელავის მაზრაში—სოფ. ალმატის, საბუეს, გრემის და ალდგომის მიწების მოსარწყავად. სოფელ ველისციხეში განზრახულია შესდგეს ამხანაგობა ჰიდრო-ელექტრონული სადგურის მოსაწყობად, სოფ. ვაქირში წყალსადენის გამოსაყვანად; 2) გორის მაზრაში—დრესის გრაკალის სამელიორაციო ამხანაგობა, კასპში ასეთივე ამხანაგობა. ორი უკანასკნელი უკვე ფაქტიურად არსებობს, საჭიროა მათთვის იურიდიული სახის მიცემა. გარდა ამისა ცეკავშირის წევრებათ ითვლებიან და კარგა ხანია უკვე მოქმედებენ შემდეგი სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობები: ზუგდიდის სასოფლო-სამეურნეო ამხ. „კულტურა", რაჭველ მევენახეთა ამხ. „ხვანჭკარა", ზემო იმერეთის მევენახეთა ამხანაგ. „იმერეთი". დაარსებულია აგრეთვე წალკის მთლიან მომხმარებელ საზოგადოებასთან პარმაქსიზმის მერძევეთა არტელი და სხვა.

ვ. მ.

ინჟინერთა და ტეხნიკოსთა სრულიად საქართველოს პირველი ყრილობა

უკანასკნელი სხდომა.

რეზოლიუციების მიღება და ცენ. ბიუროს არჩევა.

რეზოლიუცია აღმშენებლობის შესახებ გაკეთებულ მოხსენების გამო. მოისმინა რა მოხსენებები გზების, საწყლო, კომუნალური აღმშენებლობის, ელექტროფიკაციის და საზღვაო ტრანსპორტის შესახებ, სრულიად საქართველოს 1 ყრილობა აღნიშნავს იმ უეჭველ ფაქტს, რომ ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლამ საინჟინერო აღმშენებლობის ყველა დარგში გამოიწვია მუშაობის დიდი განვითარება.

ქვეყნის დანგრეული მეურნეობის აღდგენის საქმე, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული აღმშენებლობის განვითარებასთან, ღებულობს ჯანსაღი განვითარების და პროგრესიული ზრდის ხასიათს, ხოლო ამ მეურნეობის სრული აღდგენა ახლო მომავალში უზრუნველყოფილი იქნება სათანადო ფინანსების მიწოდების და მეცნიერებისა და შრომის მჭიდრო თანამშრომლობის გზით.

საინჟინერო-ტეხნიკური ძალები, რომლებიც დგანან თავიანთ სადარაჯოზე და ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, მთელ თავიანთ ენერგიას, ცოდნას და გამოცდილებას მოახმარებენ საბჭოთა საქართველოს აღმშენებლობის საქმეს.

მიმართავს რა კონკრეტიულ აღნუსხვას მთავარ ფაქტორების, რომელთა არსებობა უეჭველათ საჭიროა აღმშენებლობის შემდეგი განვითარებისათვის, ყრილობას საჭიროთ მიაჩნია აღნიშნოს შემდეგი:

1) გზატკეცილებს, რომელთა აღდგენა ამჟამად სწარმოებს და რომლებიც არ შეკეთებულა იმპერიალისტური და სამოქალაქო ომის განმავლობაში. მათი სამგზავროთ გამოყენებისათვის უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება სახელმწიფოს მხრივ სათანადო ფინანსების მიწოდების გზით.

2) საწყლო მეურნეობაში აუცილებლად უნდა შეტანილ იქნეს მუშაობის გეგმაშეწონილი განაწილება, განსაკუთრებით ინტენსიურ კულტურების დარგში და მოგვარდეს კანონმდებლობითი წესით საწყლო საქმე საბჭოთა აღმშენებლობის ახალ პირობებში. საჭიროა აგრეთვე ცენტრალურ სამმართველოსთან მოეწყოს აპარატი, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს საწყლო მეურნეობას ამიერ-კავკასიის მასშტაბით.

3) კომუნალური აღმშენებლობის ყველა დარგში, რომლებიც ამ უკანასკნელ დროს ფართოდ ვითარდებიან, საჭიროა სათანადო თანხების გაღება სახელმწიფოს მიერ, განსაკუთრებით იმ სამუშაოთა დარგში, რომელთაც აქვთ საერთო—სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა.

4) სამოქალაქო აღმშენებლობის საკითხების მოგვარების დარგში ყრილობას საჭიროთ მიაჩნია შეიქმნეს ერთიანი საკანონმდებლო სარეგლამენტო ორგანო.

ამავე დროს ყრილობას საჭიროთ მიაჩნია დატოვებულ იქნეს სახელმწიფო აღმშენებლობის სამმართველო, როგორც ერთიანი საწარმოო ორგანო; მისი მუშაობის გასაფართოვებლათ უნდა შეიქნეს ისეთი პირობები, რომლებიც სახელმწიფო აღმშენებლობის სამმართველოს მისცემს უპირატესობას სამუშაოების მიღებაში, აგრეთვე საჭიროა გაუწიოს მას მატერიალური დახმარება კრედიტების და სხვ. სახით.

5) **ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის შესახებ.** ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის მოწყობამ, რომელსაც აქვს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, უნდა ითამაშოს დიდი როლი ქვეყნის ეკონომიურ აღორძინების საქმეში. ყრილობა იმედს გამოსთქვამს, რომ სახელმწიფო მიიღებს ყოველივე ზომებს იმისათვის, რომ ამ სამუშაოს თავის დროზე და სისტემატიურად მიეცეს ფინანსები, რათა დაჩქარებით და წარმატებით იქნეს დასრულებული სადგურის მოწყობის საქმე.

6) **საზღვაო ტრანსპორტის შესახებ** აღიარებს რა, რომ გასაბჭოების დღიდან საბჭოთა საქართველოს ნავთსადგურებში მოწყეულია დიდი მუშაობა მათი აღდგენის სფეროში, ყრილობას საჭიროთ მიაჩნია შემდეგი გაფართოება და გაუმჯობესება ნავთსადგურების იმ განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, რომელიც აქვთ ნავთსადგურებს და ექნებათ საქართველოს და მთელი ამიერ-კავკასიის ეკონომიური განვითარებისათვის.

(დასასრული იქნება).

მუშკორების და ბეჭდვითი საქმის მუშაკთა საერთო საქალაქო კრება

მუშკორების საერთო საქალაქო კრება გაიხსნა 9 დეკემბერს, დილის 12 საათზე განათლების მუშაკთა სახლში.

კონფერენციას მისალმინ აგიტ.-პროპის წარმომადგენელი ამხ. პრ. კვირიკაძე, ა. | კ. საოლქო კომიტეტის სააგიტ. პროპ. სახელით ამხ. ტაკოევი.

დღის წესრიგში დასმული იყო 1) ამხ. მიასნიკოვის მოხსენება ჩვენს პრესაში მუშკორების ამოცანების შესახებ, 2) ანგარიში მუშკორების მოსკოვის თათბირის შესახებ—მომხსენებელი ბაქოს მუშკორების დელეგატი ამხ. ტარასოვი, 3) საორგანიზაციო საკითხი. პირველ საკითხზე ვრცელს მოხსენებას აკეთებს ამხ. მიასნიკოვი, რომელიც ეხება მუშკორის წარმოშობის ისტორიას და მისი მოღვაწეობის თანდათანობითი განვითარებას. მომხსენებელი დაწვრილებით განმარტავს იმ დანაშაულობას და ამოცანებს, რომელიც პირველად დაისახეს მოსკოვის „პრავდის" გარშემო თავმოყრილმა მუშათა ჯგუფებმა. ეს იყო, უმთავრესად, წვრილ წარმოებაში თავმოყრილ მუშათა ყოფა-ცხოვრებიდან. მოსკოვს მიაბეს სხვა სამრეწველო ცენტრებმა და თანდათან მუშკორები ყველა ქალაქის გაზეთებს გაუჩნდენ. შემდეგ მომხსენებელი ჩერდება მასზე, თუ როგორ გაფართოვდა მუშკორის საგაზეთო მოღვაწეობა, რომელიც მუშათა ყოფა-ცხოვრების აწერის ფარგლებს გადაშორდა და მუშათა პუბლიცისტიკას დაუახლოვდა.

დასასრულ მომხსენებელი ლაპარაკობს მუშკორის მომავალ ამოცანებზე და მის მუშა ჟურნალისტად გარდაქმნის შესახებ.

მეორე საკითხზე (მოსკოვის თათბირის შესახებ) მოხსენება უნდა გაეკეთებია ბაქოელ ამხ. ტარასოვს, მაგრამ მისი ჩამოუსვლელობის გამო, მუშკორთა მოსკოვის თათბირის შესახებ ინფორმაციული ხასიათის მოხსენებას აკეთებენ „ზარია ვოსტოკა"-ს თანამშრომელი ქალი ამხ. კუზმინა და „რაბოჩაია პრავდა-"ს პასუხისმგებელი მდივანი ამხანაგი ავენირი.

მომხსენებლებმა საქალაქო კრებას გააცნეს შინაარსი იმ მოხსენებათა, რომელიც თათბირზე იყო წაკითხული და სხვადასხვა საკითხებს შეეხებოდნენ. თათბირის ერთი მთავარი თემა ყოფილა მუშკორის სტილი, წერის მანერა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მკითხველ მასასთან დამოკიდებულების განმტკიცებისათვის. აქ მომხსენებელთ მოჰყავთ ამხ. ამხ. სოსნოვსკის, ბუხარინის, მარიამ ულიანოვის ქალის და სხვათა აზრები. უმრავლესობა ზემოხსენებულ ამხანაგთა მომხრეა, რომ სტილი წერის მანერა მუშკორებისა დარჩეს ხალხური, პოპულიარული, რაც ხელს შეუწყობს მკითხველი მასის და გაზეთს შორის კავშირის განმტკიცებას.

არა ნაკლებ საინტერესოა საკითხი მუშკორთა ორგანიზაციის და მათი გაზეთთან დამოკიდებულების შესახებ. თათბირზე მონაწილეთა უმრავლესობის აზრით, საჭიროა დარაზმვა რედაქციებს გარშემო, გაეცნობა საგაზეთო საქმესთან და საერთოდ ისეთი მუშაობის გაშლება მუშკორებში, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება მუშკორის მუშა-ჟურნალისტად, გაზეთის ხელმძღვანელად გარდაქმნა.

დასასრულ, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საკითხი მუშკორთა დევნის შესახებ, რომელიც წარმოიშვა მუშკორის საგაზეთო მოღვაწეობის ჩასახვისთანავე და რომელიც სხვადასხვა ფორმით ხასიათდება.

პირველი და უმთავრესი ფორმა მუშკორის დევნისა არის მისი განდევნა იმ წარმოებიდან ან დაწესებულებიდან, სადაც იგი მსახურობს, დევნის მეორე ფორმა,—მუშკორის სახელის შებღალვა და დამცირება საზოგადოების თვალში, მესამე,—მუშკორის „დამუშავება". ეს უკანასკნელი გარემოება გულისხმობს ამა თუ იმ დაწესებულების ხელმძღვანელთა მიერ მუშკორის დანიშვნას და მუშკორის ისეთ მომზადებას ანუ „დამუშავებას", რომ მან ყოველთვის მიაწოდოს გაზეთს თავის დაწესებულების შესახებ სასარგებლო ცნობები. ამ გარემოებასთან არის დაკავშირებული საკითხი იმის შესახებ, რომ უნდა ინიშნებოდეს, ირჩეოდეს მუშკორი თუ მუშკორი უნდა ეწეოდეს საგაზეთო მუშაობის მოწოდების, საკუთარი სურვილის თანახმად. თათბირის მონაწილეთა უმრავლესობა მომხრე ყოფილა უკანასკნელი აზრის, რადგან ეს მოვლენა უფრო ხელს უწყობს მუშური პრესის გაჯანსაღებას და გაფაქიზებას.

ვინაიდან მოხსენება ინფორმაციული ხასიათის იყო, კამათი არ გამართულა. კრება ნაშუადღევის 2 საათზე დასრულდა.

საბჭოთა სასამართლოში

ბახჩიევის საქმე

11 დეკემბერს შრომის სასამართლოში განხილულ იქნა ბახჩიევის საქმე, რომელსაც ბრალად ედებოდა დათხოვნილ მოსამსახურეთათვის ზედმეტი სამუშაოს მიუცემლობა.

ეს საქმე ხელმეორედ იქნა განხილული საკასაციო სასამართლოს დადგენილებით, რომელმაც გააუქმა შრომის სასამართლოს გადაწყვეტილება იმის გამო, რომ მომჩივნებმა არ წარადგინეს სწორი ანგარიში.

მეორედ განხილვისათვის საბჭოთა მუშაკთა კავშირმა წარადგინა სწორი ანგარიში, რომლის თანახმად საჩივრის ჯამი მნიშვნელოვნად გაიზარდა, ვინაიდან პირველ საჩივრის ჯამი გამოყვანილი იყო მინიმალურ მოთხოვნილებებიდან.

შრომის სასამართლოს სხდომის გახსნის წინ მოპასუხეებმა გამოსთქვეს სურვილი საქმის მშვიდობიანად გათავებისა.

შრომის პირველ გადაწყვეტილებაში აღნიშნულ ჯამის მიხედვით მოსამსახურეები დასთანხმდნენ წასულიყვნენ დათმობაზე და მოპასუხეებმა ბახჩიევმა და კობალაიშვილმა ხელი მოაწერეს, შემდეგ მორიგების ტექსტს.

„მოპასუხე ბახჩიევი და კობალაიშვილი ვალდებულნი არიან გადაუხადონ საბჭოთა მოსამსახურეთა კავშირს მოსამსახურეთა საჩივრის თანახმად 896 მან. 40 კაპ. (საქონლის მან.) დღის კურსით. და ეს ანაზღაურება უნდა მოხდეს 7 დღის განმავლობაში.

ფული უნდა იქნას შეტანილი საბჭოთა მუშაკთა კავშირის სალაროში და ამით თავდება ყოველგვარი პრეტენზიები როგორც მომჩივნების, ისე მოპასუხეების მარივ. **ანაზღაურებული უნდა იქნას ის 896 მან. და 40 კაპ., რომელიც შრომის სასამართლომ პირველად მიუსაჯა.**

მეცნიერება და ტეხნიკა

„სტეკლოგრაფია"

სურვილი მიღებული ყოფილიყო „ოტისკების" დიდი რაოდენობა, როტაროტორის და კოშტის სანთელის უქონლობით, მეტად აძნელებდა რ. ს. ფ. ს. რ. დაწესებულებების მუშაობას 1920—21 წელში. და მაშინ გამონახული იყო განსაკუთრებული საშუალება. ასლების დიდი რაოდენობის ბეჭდვისათვის „სტეკლოგრაფიის" დახმარებით. ეს აპარატი ნაჩვენები იყო სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

სტეკლოგრაფიული ბეჭდვა მდგომარეობს შემდეგში: შუშაზე ასხამენ განსაკუთრებული სითხის რამოდენიმე წვეთს; ამ სითხეს გაშლიან შუშის ზედაპირზე ქაღალდის ნაჭრის საშუალებით, სითხე ჩქარა შრება და შუშაზე რჩება მეტად თხელი ფენა. მას დაადებენ სპეციალურ მელნით გაკეთებულ ტექსტს, სურათს და სხვა და რამოდენიმე წამით მჭიდროთ დააკრავენ შუშას, რის შემდეგაც შუშას გაწმენდენ განსაკუთრებული შემადგენლობით, რომელიც შეიცავს გლიცერინს. იმ ადგილებში, სადაც შუშას ედებოდა მელანი, ჩნდება ნაწერის ბუნდოვანი გამოსახულება: ეს ხდება იმის გამო, რომ შუშაზე დარჩენილი შემადგენლობა მელანთან ერთად ქმნის ქიმიურ შეერთებას.

ამის შემდეგ შუშაზე გაატარებენ ლერძაკს სასურველ ფერის საღებავით, რომელიც უერთდება გამოსახულებას, მაგრამ ის არ სვრის დანარჩენ ზედაპირს, რომელიც გლიცერინით არის წასმული.

ბეჭდვის დროს შუშაზე დააფენენ ქაღალდს და მასზე გაატარებენ რეზინის ლერძაკს.

საღებავი შეიძლება განახლებულ იქნეს ყოველთვის საღებავიან ლერძაკის გატარებით, ეს კი საშუალებას იძლევა ბეჭდვის სტეკლოგრაფიული წესით მიღებულ იქნეს „ოტისკების" განუსაზღვრელი რაოდენობა, სიჩქარით 300 ასლი საათში.

ტექსტის გამოყენების შემდეგ, შუშას სწმენდენ სკიპიდარით, გაწმენდილ შუშაზე კი შეიძლება ხელახლა დაიწყოს ბეჭდვა. ბეჭდვის სტეკლოგრაფიულ წესს მეტი უპირატესობა აქვს, ვიდრე ჰექტოგრაფიულს, და ამიტომ სტეკლოგრაფია ეხლა ფართოთ ვრცელდება ს. ს. რ. კ. სხვადასხვა დაწესებულებებში.

ქრონიკა

— **სარწმუნოებრივი საზოგადოებათა აღრიცხვა.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ იუსტიციის კომისარიატის მომართვის თანახმად, სარწმუნოებრივ საზოგადოებათა აღრიცხვა გადასდო 1 იანვრისთვის.

— **დახმარება წყალდიდობისაგან დაზარალებულთ.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა: ქუთაისის მაზრის სოფელ ციცხვათის წყალდიდობისაგან დაზარალებულ მცხოვრებლების სასარგებლოთ გადასდოს 100 მან. ჩერვონცებით.

— **სესხი რკინისგზელებს.** ა. | კ მომხმარებელ საზოგადოებამ გამოიმუშავა პირობები რკინისგზის მუშა-მოსამსახურეთა სესხის მისაცემათ. სესხი გაცემული იქნება ოთხი თვის ვადით არა უმეტეს 4 ჩერვონცებისა. სესხის გაცემა დაიწყოს 11 დეკემბრიდან.

— **სატყეო კოდექსი.** მიწათმოქმედების სახ კომისარიატის სატყეო განყოფილების მიერ შემუშავებულია სატყეო კოდექსის პროექტი.

— **სრ. საქართველოს მევენახეთა ყრილობა.** სრ. საქართველოს მევენახე-მეღვინეთა ყრილობა დანიშნულია 15 იანვრისათვის 1924 წ.

— **ანანოვისეული მამულის გადაცემა** სოციალურ-უზრუნველყოფის სახ. კომ. შუამდგომლობა აღძრა მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის წინაშე, რათა ქუთაისის მაზრაში სოფ. ვარციხეში არსებული ანანოვისეული მამული და ღვინის სარდაფი საექსპლოატაციოთ გადაეცეს თემის საგლეხო კომიტეტს.

— **საბჭოთა დაწესებულებების დათვალიერება.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ ნება დართო ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს მოახდინოს 1924 წლის 1 თებერვლიდან საქართ. რესპუბლიკის საბჭოთა დაწესებულებების დათვალიერება.

— **უმუშევართა აღრიცხვა.** 8 დეკ. შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა—384 უმუშ. ამათ შორის აღრიცხვაზე დატოვებულ იქნა—379. აღრიცხვიდან სრულიად მოიხსნა—5.

— **უმუშევართა მოძრაობა.** 10 დეკემბერს შრ. ბირჟაში ახლად ჩაეწერა—27 უმუშევარი, სამუშაოზე გაიგზავნა—109 კაცი, მოთხოვნილება იყო—157.

— **ქალაქის მუზეუმი და არქივი.** ქ. აღმასკომმა დაადგინა ქალაქის არქივი და მუზეუმი მოათავსოს ერთ ბინაში, და ამ მიზნით გამოინახოს ქალაქის ცენტრში შესაფერი შენობა.

— **ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველოში.** საქართველოში ამიერ-კავკასიის ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველოს გადასახადთა განყოფილება მიმართავს პროფესიონალურ კავშირთა კლუბის მცირე დარბაზში (მუშათა სასახლე) ხუთშაბათს, 13 დეკემბერს საღამოს 6 საათზე კრებას, სადაც მოქალაქენი გაცნობილი იქნებიან სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის დებულებასთან და იმ მოთხოვნილებებთან, რომლებიც წარუდგენებათ გადამხდელთ საგადასახადო მოვალეობის შესასრულებლად. დასწრება ყველას შეუძლია.

— **სამკითხველოს გახსნა.** ხუთშაბათს, 13 დეკემბერს საღ. 6 საათზე შესდგება საზეიმო გახსნა კომუნისტურ აღზრდის ცენტრალურ სახლის წიგნთ-საცავ სამკითხველოსი (ყოფ. სამხედრო ტაძარი).

— **ქალაქთა მოსახლეობის კვების გამოკვლევა.** სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო ამ დღეებში დაიწყებს საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის კვების გამოკვლევას.

გამოკვლევის ცნობები უკვე დამუშავებულია და ახლო მომავალში გამოქვეყნდება. მიღებულია მდიდარი მასალა, რომელიც ნათელჰყოფს საქართველოს მოსახლეობის კვების საქმეს დიდ ქალაქებში გამოიკვლევა მეურნეობათა 2 პროც. ხოლო მცირე ქალაქებში—4 პროც. გამოკვლევა აწარმოებს მიმდინარე დეკემბერს 3 დღის განმავლობაში.

— **დახმარება მელითონეთა კავშირის წევრებს.** ყველა უმუშევართა წევრებს მელითონეთა კავშირისას ა წ. 15 დეკემბრიდან 25 დეკემბრამდე მიეცემათ დახმარება ნოემბრის და დეკემბრის თვეებისათვის შემდეგი რაოდენობით:

დაზღვეულ წევრებს 25 მილიონი მან., ოჯახის წარჩენილებზე 5 მილ, არა დაზღვეულ წევრებს 20 მილ. მარჩენლებზე 10 მილ.

ტფილისის საბჭოს არჩევნები

დიასახლისთა შორის

1. ქალთა განყოფილებები აწარმოებენ მუშაობას არა მარტო მუშა ქალებს შორის, არამედ დიასახლისებს შორისაც; ქალთა განყოფილებები აბამენ მათ საერთო მუშაობაში, რომელიც მიმართულია საბჭოთა სახელმწიფოს აღმშენებლობისაკენ. დიასახლისების მიერ დელეგატების არჩევა საბჭოში ამტკიცებს იმას, რომ ჩვენს მუშურ სახელმწიფოში ქალი არის საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი; ყველა, როგორც ერთი კაცი, უნდა გამოეხმაუროს დელეგატ-ქალების არჩევას, ყველა უნდა მოვიდეს საარჩევნო საერთო კრებაზე იმ შეგნებით, რომ არჩეულმა დეპუტატ-ქალებმა უნდა დაიცვან საბჭოში დიასახლისების ინტერესები.

2. ოთხშაბათს 12 დეკემბერს საღამოს 5 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბის შენობაში შესდგება დიასახლისების საერთო კრება, რომელზედაც არჩეულნი იქნებიან დეპუტატები ქალაქის საბჭოში.

3. საარჩევნო კომისია მოუწოდებს 2-რე რაიონის ყველა მუშებს, რომ მათ აცნობონ თავიანთ ცოლებს და დებს (18 წლის ასაკიდან) იმის შესახებ, რომ ზემოაღნიშნულ კრებაზე დასწრება სავალდებულოა ყველასათვის.

საარჩევნო კომისია.

წყალსადენის მუშებში

კომუნალურ წყალსადენის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე ა. წ. 10 დეკემბერს დაისვა ქ. ტფილისის საბჭოს დეპუტატების არჩევნების საკითხი.

ვრცელი მოხსენებით კრებაზე გამოვიდა ამხ. ლადო გაგნიძე. მან აღნიშნა ქ. საბჭოს მუშაობა. გამოირკვა მოხსენებიდან, რომ ყოფილ საბჭოს დიდი საქმეები და ღვაწლი მიუძღვის ქალაქის მეურნეობის აღორძინებაში: შენდება ავჭალაში ჰიდრო-ელექტრო სადგური, საგრძნობლად გაფართოვდა წარმოება სასაკლაოში, ტრამვაიში, წყალსადენში და ბევრ სხვაგან. თანამომხსენებლად გამოვიდა ამხ. ნაზაროვი, რომელმაც სრულიად ნათელჰყო მოქმედება პირველი, მეორე და მესამე საბჭოსი.

შემდეგ ამისა დასახელებულ იქნა საბჭოს დეპუტატებად შემდეგი ამხანაგები: 1) ლადო გაგნიძე (კომ.) და 2) გ. ყურულაშვილი (კომ.), რომლებიც ერთხმად არჩეულ აქნენ—საბჭოში.

შემდეგ წაკითხულ იქნა „ნაკაზი" ტფილისის საბჭოს დეპუტატებს, რომლის უცვლელად ცხოვრებაში გატარება დაავალა კრებამ არჩეულ დეპუტატებს. ამხ. ლადო გაგნიძემ კრებას აღუთქვა, რომ ის თავდადებით იმუშავებს სხვა ათეულ და ასეულ ამხანაგებთან ერთად საქართველოს დედა-ქალაქის, ტფილისის მეურნეობის აღორძინებისთვის და ეცდება სრულიად გაამართლოს იმედი ამომრჩეველთა.

მოხსენების გამო გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ წყალსადენის მუშა-მოსამსახურეთა კრება სავსებით იწონებს მესამე საბჭოს მოქმედებას და უსურვებს მომავალ მეოთხე საბჭოს ასეთივე ნაყოფიერებას ქ. ტფილისის სამუნიციპალიტეტო საქმიანობაში.

მუშკორი გ—ანიძე.

ხე-ტყის მასალის ქარხნებში

არჩევნების ჩასატარებლად ხე-ტყის წარმოების ყველა მუშები 8 დეკემბერს ადგილზე იყრის თავს,—სამხედრო ხე-ტყის ქარხანაში. არ დაკლებია არჩევნებს არც ერთი მუშა. ყველა გატაცებით და აღფრთოვანებით ესწრება მას. კრება საპატიო თავმჯდომარეთ ირჩევს ამხ. ამხ. ლენინს, ტროცკის, კამენს, რადეკს, სტალინს, ცხაკაიას, ორჯონიკიძეს, ლომინაძეს და კახიანს.

კრება თავის ოვაციებითა და მხურვალე ტაშის კვრით ფარავს საარჩევნო კომისიის ამხ. ამხ. გაგნიძეს, მასხულიას და მასკევიჩის სიტყვებს, ყოფილი საბჭოს მუშაობისა და მოქმედების შესახებ. ბოლოს „ნაკაზი"-ს წაკითხვის შემდეგ კრება დიდი აღტაცებით ირჩევს საბჭოში ერთხმად შემდეგ ამხანაგებს დეპუტატებად: ჭელიძეს (კომ.), ბარხუდაროვს (კომ.) და გაგუას (ყოფ. მენშევიკს).

დასასრულ ერთს მუშას წინადადება შემოაქვს, რომ შეტანილ იქნას „ნაკაზ"-ში, რათა ყველა მუშათა უბნებში დახურულ იქნას ღვინის სავაჭროები.

უკანასკნელი წინადადება შეტანილ იქნა „ნაკაზ"-ში და კრება იშლება „გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ მთავრობას" ძახილით.

მუშკორი მ. ა.

მკერავთა შორის

მკერავები თავის კლუბში შეკრებილან და ისე გრძნობენ იქ თავს, როგორც საკუთარ სახლში.

იხსნება კრება ტფილისის საბჭოში დეპუტატების ასარჩევათ.

მოხსენებით გამოდიან ამხ. გაგნიძე ქართულ ენაზე და ამხ. მაშკევიჩი რუსულათ და აცნობენ კრებას ძველი საბჭოს მოღვაწეობას.

რა არის მმართველობის მენშევიკური ორგანო და რას წარმოადგენს ჩვენი საბჭო?

მენშევიკები სამ წელს მეფობდენ. რა გააკეთეს მათ ამ ხნის განმავლობაში მუშათა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად?

სრულიად არაფერი.

ჩვენი საბჭო კი მუშათა მმართველობის ორგანოა, კომუნისტების მეთაურობით. კომუნისტებმა ფეხზე დააყენეს სახალხო მეურნეობა, სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა, საავადმყოფოები, სკოლა, სამკითხველოები და სხვა, რომლებიც მენშევიკების დროს მუდამ ნგრევის პროცესს განიცდიდენ.

კითხვები აქეთ-იქედგან უამრავია: უმუშევრობაზე, საბინაო კრიზისზე, სკოლაზე, წყალზე და სხვ.

დამაკმაყოფილებელ პასუხების შემდეგ—ყველა აღნიშნულ კითხვებზე კრება უსმენს ყოფ. მენშევიკს ამხ. ოგანოვს, რომელიც ლაპარაკობს:

„ამხანაგებო! აქ კრებაზე ამხ. გაგნიძემ და მაშკევიჩმა თქვენ მხოლოდ იმის ნაწილი გაგაცნეს, რაც სინამდვილეში არის გაკეთებული საბჭოს მიერ. კომუნისტებმა დაგვიმტკიცეს, რომ ისინი არა თუ მარტო ლაპარაკობენ, არამედ საქმით აგვისრულებენ თავის დაპირებას, რაც ცხადად ეტყობა წყალსადენს, ტრამვაიის ზემო-ავჭალას და სხ.".

„ჩვენ ყველა ამის მოწმენი ვართ. ყველაფერი ვიცით და ყველაფერსაც ვაფასებთ, რისთვისაც ყველამ ხმა კომუნისტებს უნდა მივცეთ"—ასრულებს სიტყვას ამხ. ოგანოვი.

ყოველი მუშა იზიარებს „ნაკაზი"-ს დებულებებს, რომლებიც საფუძვლად დაედება მომავალი საბჭოს მოღვაწეობას.

კომუჯრედის სიის თანახმად საბჭოში არჩეულ იქნენ ამხ.-ბი გრანიკი (კომუნისტი), ოგანოვი (ყოფ. მენშ.) და მათ კანდიდატებად ამხ. ბაბაინცი.

ჩვენ, მკერავი მუშები, ქალები და მუშა-კაცები დამაკმაყოფილებლად ვსთვლით ყოფილ საბჭოს მოღვაწეობას და ვაგზავნით ახალ ენერგიულ ამხანაგებს, რომლებიც, იმედი გვაქვს გაამართლებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას.

მუშკორი მახი.

„ცენტროტრამოტში"

„ცენტროტრამოტის" სადურგლო ცეხის ბინაზე თავი მოუყრიათ მუშებს, ქალაქის საბჭოში არჩევნების მოსახდენათ.

ყველას რაღაც კმაყოფილება ეტყობა.

ამხ. მელაძემ კრებას დაუხასიათა ყოფილი საბჭოს მუშაობა.

მუშები ყურადღებით, ისმენენ მოხსენებას.

მოხსენებიდგან სჩანს, რომ მართლაც მხოლოდ კომპარტიამ, რომელიც რესპუბლიკის ცხოვრების ხელმძღვანელია, ასწია მრეწველობა, სახალხო მეურნეობა და საერთოდ ყველაფერი უმჯობესდება მისი წყალობით.

ამხ. მასხულიამ დასძინა, რომ ახალმა საბჭომ უნდა მიიღოს ზომები მომავალში საბინაო კრიზისის თავიდან ასაცილებლათ, ზემოავჭალის სადგურის დასამთავრებლად და ქალაქის გასამშვენიერებლად. „ამიტომ მე ვფიქრობ"—ამბობს ამხ. მასხულია, „რომ საბჭოში უნდა არჩეულ იქნენ მხოლოდ ენერგიული, საქმიანი, მშრომელი და ნდობით აღჭურვილი ამხანაგები".

წამოყენებულ „ნაკაზ"-ს კრება სრულიად იზიარებს და საბჭოში ირჩევს: ამხ. ამხ. მზარეულაშვილს (კომუნისტი) და ლაპკინს (ყოფ. მენშევიკი საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე მდგარი) და მათ კანდიდატად ვარდენკოს (ახ. კომ. კავ. წევრი).

არჩევნების დამთავრების შემდეგ ამხ. ლაპკინი აცხადებს: „ამხანაგებო! თქვენ პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ მე, თქვენგან ამორჩეული დეპუტატი, გავამართლებ თქვენ იმედებს და დავიცავ ყველა თქვენ, მუშურ ინტერესებს, რადგან თქვენი საჭიროება—ეს ჩემიც არის".

მახს.

ხელოვნების კავშირის წევრთა შორის

საოპერო თეატრში ა. წ. 10 დეკემბერს შესდგა ხელოვნების კავშირის წევრთა საერთო კრება. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: მოხსენება ხელოვნების შესახებ და არჩევნები ქალაქის საბჭოში.

პირველ საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ნოვსკი, რომელმაც დაწვრილებით გააცნო დამსწრე ამხანაგებს ხელოვნების მიზანი საბჭოთა რესპუბლიკებში. კრება გადადის მეორე საკითხზე. შემდეგ კრება დეტალურად ეცნობა „ნაკაზ"-ს. „ნაკაზ"-ში შეაქვს ერთი დამატება იმის შესახებ, რომ აღიძრას შუამდგომლობა არჩეულ ამხანაგების მიერ, რათა ხელოვნების კავშირზე გადაცემული იქნას „მუშათა სასახლე".

„ნაკაზ"-ს კრება იღებს ერთხმად, რის შემდეგ ის ირჩევს საბჭოში კილოსანიძეს (კომ.), პაკროვსკის (კომ.) მარჯანაშვილს (უპარტიო), ერზინკიანს (კომ.), მაისურაძეს (კომ.) კორა (კომუნისტი); კანდიდატებად: თოხაძეს (კომ) რაპოპერს (უპარტიო) ეროხინს (უპარტიო).

კრება დაიხურა დღის 2 საათზე.

მუშკორი გ. მ—შვილი.

— **სტატისტიკური ცნობები მაზრებიდან.** ქალაქის აღმასკომმა დაადგინა მაზრებიდან სტატისტიკური ცნობების მიწოდება დაევალოს აღმასკომისა და სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებს სათანადო ჰონორარის მიცემით.

შემთხვევები

— ქურდობა. 8 დეკემბერს, 1-ლ საპოლიციო უბანში, ყაზბეგის ქ. № 8, გაქურდეს მოქ. სირანუშ პეტროსიანცის ბინა, წაღებულია 24 ჩერვონეცის ნივთები. კვლევა-ძიება სწარმოებს.

— ქურდობა. 9 დეკემბერს, რუსთველის პრ. № 9, სასტუმრო „ორიანტში" გაქურდული იქნა მოქ. გიორგი ბელიევის ბინა. წაღებულია რამდენიმე მილიარდის ნივთები. ეჭვით შეიპყრეს ხსენებულ სასტუმროს დამლაგებელი ნიკოლოზ ომიაძე.

— ცეცხლი. 9 დეკემბერს. დილის 4 საათზე. (არსენალის ქ. № 11) გაუჩნდა ცეცხლი მოქ. ლიუბა ივანეს ასული მასლიაშვილის ბინას. ცეცხლის მქრობელ რაზმის მიერ ცეცხლი ჩქარა იქნა ჩაქრობილი. დაიწვა მხოლოდ ჭერი.

— **202 ჩერვონეცის გატაცება.** 10 დეკემბერს, დღის 3 საათზე სახ. ბანკში, ა.—კ. რკინისგზის კავშირის სალაროს გამგეს ამხ. შავგულიძეს მოსტაცეს 202 ჩერვონეცი. მიღებულია ზომები ბოროტმოქმედთა შესაპყრობათ.

შეცდომების გასწორება

ჩვენ გვთხოვენ გავასწოროთ უმთავრესი კორექტურული შეცდომები ჩვენ გაზეთში დაბეჭდილ მიწის კოდექსის ტექსტში.

მუხლი	სტრიქონი	დაბეჭდილია	უნდა იყოს
24	8	თავის	დავის
38	მუხლის წინ	კომლი (შრომით კომ. შემადგენლობა	არ უნდა იყოს
42	6—7	განკარგულებით	განცხადებით
48 შენიშვნა	4	სამხედრო გაწვევის	სამხედრო სამსახურში გაწვევის
51	15	შეტანას	შეტანაც
55	5	ნამოსახლოს	სამოსახლოს
60	2	მეურნეობა (ოჯახი და მიწის ავკარგიანობა)	მეურნეობა (ოჯახი) და მიწის ავკარგიანობა.
61	5	მთლიანი	მთიანი
70	1—2	სარგებლობის	სარგებლობა
71	3—4	შორის	შრომის
81	9	დამუშავებული	დაუმუშავებელი
103	8	განკარგულებაში	განკარგულებაშია
106	2	მოწყობის	მოწყობილ

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

„თავადი იგორი"

ბოროდინის ოპერა „თავადი იგორი" განახლებული იყო ჩვენს სცენაზე, როგორც სჩანს, ნაჩქარევათ. შესრულება, ზოგიერთის გამონაკლისით, არ შეეფერება ოპერის ღირსებას.

ბოროდინის ამ ნაწარმოებში ორკესტრს უდიდესი ადგილი აქვს დათმობილი—ოპერის მთელს მანძილზე ორკესტრში სჭარბობს სიმფონიური მუსიკა. ვანო ფალიაშვილი, რასაკვირველია, აკმაყოფილებს ყველა იმ მოთხოვნილებებს, რომელნიც შეიძლება წაუყენოთ მას, როგორც დირიჟორს.

უვერტიურაში, რომელიც დამოუკიდებელი სიმფონიური ნაწარმოებია, ფალიაშვილს მშვენივრათ მიყავს კონტრასტები მუსიკალურ პერიოდებში, რომელნიც ახასიათებენ იგორს, იაროსლავნას (მის ცოლს) და მთელ რუსულ მხარეს; აქ ეს თემები მოხერხებულათ არის გამოყოფილი იმ თემებიდან, რომელნიც ახასიათებენ პოლოვცებს (სამხრეთელი თათრები) კარგათ ჩაატარა ფალიაშვილმა პოლოველთა ბანაკიც (ბალეტი), ბევრი ტემპერამენტი და ლირიზმი ჩააქსოვა მან ოპერის საუკეთესო ნაწილში—„იაროსლავნას ტირილში" ლამაზი და პოლიფონიურია მუსიკალური პერიოდები პროლოგში.

იგორის პარტიას მღეროდა პოლიაევი. სცენიური გადმოცემა კარგია, მაგრამ რისთვის აჩერებს მომღერალი ხმას, ის ისე აღარ ისმის აუდიტორიაში, როგორც წინეთ—ეს ხელს უშლის მთლიან შთაბეჭდილებას. არია „არც ძილი, არც მოსვენება" მოითხოვს მეტ განწყობილებას.

იაროსლავნას პარტია შეასრულა მაზოვეცკაიამ, რომელმაც შესცვალა ავათ გამხდარი პანკრატოვა. მსახიობის პირველმა გამოსვლამ საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა. მსახიობს მშვენივრათ უჭირავს თავი სცენაზე. კარგია გრიმი. კარგია ვოკალური გადმოცემაც. განწყობილებით იყო შესრულებული მეორე აქტის არია მაგრამ ვერ არის დამთავრებული სცენა ვლადიმერ გალიცკისთან და ფინალის სცენა თავადებთან (სოლო გუნდთან) აქ საჭიროა მეტი ხმოვანება და მეტი ტემპერამენტი.

„იაროსლავნას ტირილით"—მეტათ ძნელი ადგილია მაღალ ტესიტურის გამო. მომღერალმა დასძლია ეს სიძნელე.

მშვენიერია ისეცკი ხან კონჩაკის პარტიაში. საუცხოვოა გრიმი, მიმიკა და კოსტიუმი. ნათელია დიქცია და ფრაზა. მომღერალი თავისუფლათ ხმარობს აქ ხმას და ის დინამიურ დასურათებების მთელ გამმას იძლევა.

ვლადიმერ გალიცკის მშვენიერ სურათს იძლევა საბინინი. ვოკალური გადმოცემა ამოცანის სიმაღლეზეა.

ვლადიმერ იგორის ძეს ლირიული პარტია არ უდგება ევლახოვის ნიჭს. მეტათ ლამაზია სცენიური გადმოცემა, მაგრამ პოეტური კავატინა „ნელ-ნელა ჰქრებოდა დღე" მოითხოვს უფრო მეტ დამთავრებულ ლირიულ შესრულებას და მეტ კანტილენას. კარგია დუეტი კონჩაკოვნასთან.

კონჩაკოვნას (ხანის ქალიშვილი) მშვენიერ სურათს იძლევა რეზონე. მხატვრულათ იყო შესრულებული კავატინა. სტილიურია მსახიობის გრიმი და კოსტიუმი.

პოლოველ ქალის სიმღერა (გილბერტი) მოითხოვს მეტ სევდას.

სკულას (მთვრალი დეზერტირი) სცენიურათ დამთავრებული სახე მოგვცა დემიანენკომ. კარგია კურბატოვიც მიროშკას პარტიაში.

გუნდი ვერ არის მტკიცე (პროლოგში და პოლოველთა ბანაკში).

დადგმაში არა სჩანს სიცოცხლე. მაგალითად, ხალხი მზის დაბნელების დროს, რომელიც მაშინ რაღაც საშინელ და გაუგებარ მოვლენას წარმოადგენდა, სრულიად გულგრილი რჩება. არ არის საჭირო ცეცხლის გაჩენა იაროსლავნას ოთახში,—ეს არაბუნებრივია. ოთახში ცეცხლია გაჩენილი და ამ დროს ყველა სდგას და რაღაცაზე მსჯელობს.

კარგათ ასრულებს გუნდი სოფლების სიმღერას.

მუსიკოსი.

— **თვითმშრომელთა კლუბი.** თვითმშრომელთა კლუბთან განზრახულია მოეწყოს სალექციო ბიურო, რომელიც კვირაში ორჯერ მოაწყობს უფასო ლექციებს კლუბის წევრთათვის.

— **საოპერო წარმოდგენები მუშათა თეატრებში.** 1-ლ იანვრიდან დაიწყება მუშათა თეატრებში საოპერო წარმოდგენების მმართვა, სახ. ოპერის მსახიობთა მონაწილეობით.

— **„მსახიობთა დღე".** 2 იანვარს, ქართველ მსახიობთა ტრადიციული დღესასწაულის დღეს გამოვა საგანგებო ჟურნალი „მსახიობთა დღე".

— **სახალხო თეატრის სადღესასწაულო წარმოდგენები.** ამ დღეებში სახ. თეატრის მსახიობთა ერთი ჯგუფი მიემგზავრება დასავლეთ საქართველოში სადღესასწაულო წარმოდგენების გასამართავად სახ. თეატრის 30 წლის იუბილეს აღსანიშნავად.

— **საღამო გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ.** საქ. მედიკო-სანიტარული კავშირი 12 დეკემბერს მუშათა ცენტრალურ კლუბში მართავს გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ დიდ საღამოს.

— **ქართ. ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოების წლიური კრება.** დღეს, საღამოს 5 საათზე, 12 დეკემბერს ხელოვანთა სასახლეში შესდგება ქართ. ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოების წლიური საზოგადო კრება.

— **ახალი სამუსიკო ნაწარმოები.** დაიბეჭდა და იყიდება ახალგაზრდა კომპოზიტორის შალვა თაქთაქიშვილის ახალი ნაწარმოები: „ურმული" ტენორისათვის, „ნანა" ვიოლონჩელისათვის (ანუ სკრიპკისთვის) ფორტეპიანოს აკომპანიმენტით და რუსული რომანსი „колыбельная песня" სოპრანოსათვის.

დღეს თეატრებში:

— **სახელმწიფო ოპერა.** „დუბროვსკი".

— **რუსთველის თეატრი.** სომხური წარმოდგენა.

— **სახალხო სახლი.** რუსული წარმოდგენა.

სახალხო თეატრის იუბილე

სახალხო თეატრის ოცდაათი წლის იუბილე დიდის ზეიმით იქნა გადახდილი კვირას, 9 დეკემბერს.

შვიდი საათიდანავე სახალხო სახლის მწვანით შემკული დარბაზებს ლივლივი გაჰქონდათ ხალხისაგან.

დიდძალი ხალხი დარჩა ქუჩაში და დიდხანს ტორტიალობდენ თეატრის გარშემო.

ენანებოდათ, რომ ვერ მოხვდენ შიგ.

ეხარებოდათ ადვილად განშორება.

ყველა გულითადი სიამოვნებით ეგებებოდა ამ დღესასწაულს.

ჩქარა ზეიმიც გაიხსნა.

პირველად გამოვიდა ამხ. გ. ყურულაშვილი, პროფკავშირთა საბჭოს მდივანი.

მან თავის მოზრდილ სიტყვაში აღნიშნა, თუ რა გზა განვლო სახალხო თეატრმა, რომ მიეღწია ამ ზეიმამდის.

გაიხსენა ახლად, თუ რა დიდი სამსახური გაუწია მან ქართველ მშრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

მუშა-მგოსან გიგო ხეჩუაშვილის საიუბილეო კომისიის სხდომა.

10 დეკემბერს შესდგა მუშა-მგოსან გიგო ხეჩუაშვილის საიუბილეო კომისიის სხდომა, რომელზედაც დაესწრენ კომისიის ყველა წევრები. კრებაზე გადაწყდა საპატიო თავმჯდომარეებთან მოწოდების წარდგენა ხელის მოსაწერად, რომლის შესრულება მიენდო იმედაშვილს, იტრიევს, ახალკაცს და უმბრიევს, რის შემდეგ უნდა გადაითარგმნოს რუსულათ, რაზედაც უნდა ეთხოვოს პავლე დადვაძეს და სომხურათ—ვ. მარკოზოვს.

საგანგებო კომისიას დაევალა საიუბილეო კომიტეტის სახელით სთხოვოს, მოქ. კ. მარჯანიშვილს, პ. დადვაძეს და თ. ნასიძეს სამხატვრო-სამუსიკო დრამატ. მონაწილეობის მისაღებად. საიუბილეო კომისიის დადგენილებითვე გაგზავნილ იქნა ტფ. ალმასკომის საფინ. განყ. გამგესთან და ადგილკომთან, რათა საჭიროებისამებრ დროგამოშვებით განთავისუფლებულ იქმნან სამსახურიდან ამხ. ნიკო იტრიევი და პავლე ბალიაშვილი, საიუბილეო კომისიის დავალებების შესასრულებლად, რის შემდეგ სხდომა იხურება საღამოს 9 საათზე. შემდეგი სხდომა დანიშნულია ხუთშაბათს, 13 დეკემბერს, საღამოს 7 ს. „კომუნისტი“-ს რედაქციის ბინაზე.

საიუბილეო კომისიის პრეზიდიუმის მდივანი **ჭ. გულიაშვილი.**

დაუდევრობა თუ შეუგნებლობა?!

რკინისგზის სამახალო სამსახურის სადურგლო ქარხანას.

თვენახევრის წინედ გაუთავდა ხის მასალა და ამიტომ ის აწარმოებდა დაზიანებულ და წამხდარ ავეჯების შეკეთებას, მაგრამ ეს საქმეც თავდებოდა და მუშებს დაუდგათ შტატის შემცირების საფრთხე. აი სწორედ ამ ორი კვირის წინედ ქარხანას მოადგა ოთხი ვაგონი საუკეთესო მასალით დატვირთული. მუშების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რომ მათ სამუშაო გაუჩნდათ. მაგრამ ეს მასალა კი არ შეზიდეს საწყობში, არამედ გადმოცალეს დაუფარავ ადგილზე ცის ქვეშ. დაიწყო „თოვლჭყაპი“ და მასალა ფუჭდებოდა. მუშებმა რამდენიმეჯერმე მიმართეს ადმინისტრაციას, რომ არ გაეფუჭებია თავის დაუდევრობით მასალა და მიეღო ზომები მის საწყობში შესაზიდათ. მაგრამ ადმინისტრაცია ყურადღებას არ აქცევდა. ბოლოს დაინახეს რა მუშებმა, რომ ასეთი უყურადღებობა აზიანებდა როგორც მათ, ისე მუშურ-გლეხურ ხელისუფლების საერთო საქმეს, ამიტომ მათ გადასწყვიტეს თვითონ გადაეზიდათ მასალა საწყობში და დაელაგებინათ, რაზედაც აუწყეს წარმომადგენლების საშუალებით თავის ადმინისტრაციას. მაგრამ მან აქაც მოახდინა ისეთი განკარგულება, რომელიც იწვევდა მუშებში არევ-დარევას და უთანხმოებას, მაგალითად მერვე ხარისხზე აყვანილი მუშები უნდა დარჩენილიყვნენ ქარხანაში და დანარჩენთ უნდა გადაეზიდათ და დაელაგებინათ მასალა საწყობში. მუშებმა დაინახეს რა რომ ადმინისტრაციის განკარგულება კვლავ შეაფერხებდა საქმეს მათ არ მიაქციეს ყურადღება მას. ყველამ ერთსულოვნად მიიღო მონაწილეობა აღნიშნულ საქმეში და ორი დღის ენერგიული მუშაობის შემდეგ მასალა დაწყობილ იქნა საწყობში და არ მოელის არავითარი საფრთხე გაფუჭებისა. ამგვარად მუშების შეგნებამ სძლია შექმნილი დაბრკოლებანი და თვითონ ხდებიან თავის საქმის პატრონნი და მომვლელნი.

მუშა-მიუდგომელი.

უმუშევართა სასადილოში

(შრომის ბირჟის საყურადღებოდ)

ჩვენ ხშირად აღგვინიშნავს და მრავალ სხვა უმუშევრებსაც გულახდილად უთქვამთ, რომ უმუშევართათვის არსებული სასადილო ფრიად დიდ მნიშვნელოვანი და მასთან საკმაოდ დამხმარე დაწესებულება არის. აქ მოსადილე უმუშევრები, რომელთა მატერიალური მდგომარეობა მეტის მეტად უწყო არის, ამ სასადილოს საშვალებით საგრძნობლად იმსუბუქებენ თავის უაღრესად გაჭირვებულ მდგომარეობას.

სამწუხაროდ დღეს ნაცვლად იმისა რომ ჩვენ მეველოდით ამ სასადილოში არსებულ ულუფის გაუმჯობესებას, ის შედარებით უწინდელ მდგომარეობასთან გაუარესდა.

რამდენიმე კვირის წინედ გვეძლეოდა თეთრი პური ერთი გირვ. ნახევარი, დღეს ის შესცვალეს შავი პურით და, სიმართლე უნდა ვსთქვათ, არც ეს პური არის კარგად დამზადებული: მას აკლია გამოცხობა, ცომია და საჭმელად თითქმის უვარგისი.

იმედი გვაქვს, ორგანო, რომელიც ამ დაწესებულებაზე მზრუნველობს, გაამართლებს მშრომელ უმუშევართა იმედებს და შავ პურს შესცვლის კვლავ თეთრით, ხოლო არა ეხლანდელი ზომით, ცოტა მეტი და მასთან კარგად გამომცხვარი.

საჭიროა აგრეთვე აქ მზადდებოდეს უფრო კარგი ხარისხის კერძი—ხორცის ულუფის მომატებით.

მუშკორი ძველთაგანი.

ჩარჩები უნდა ავლაგმოთ

(მილიციის საყურადღებოდ).

კვირას, ბაზრობის დროს დიდი ვანქის ქუჩაზე არის ყოველდღე, დილა ადრიანად ჩარჩების და მაკლერების ბუდე, რომლებიც წინ ხვდებიან იმ გაჭირვებულ მოქალაქეებსა და მუშებს, რომლებიც თავიანთი ეკონომიური გაჭირვების გამო იძულებული არიან სახლიდან გაიტანონ ოჯახის ნივთი და მათი გაყიდვით ცოლშვილს ლუკმა-პური მიაწოდონ. ამ ჩარჩ-ბანდიტებს სწორედ აქ აქვთ გაბმული ობობას ქსელი და თითქმის ყოველივე ნივთს ნახევრა ფასად და ხან მუქთადაც იგდებენ ხელში და მერე ერთიათად ჰყიდიან. სიმშილისაგან ქანც-მიხდილ მუშას და უმუშევარსაც არ შესწევს ძალა, რომ ბაზარზე გაიტანოს თავისი ოჯახის ნივთი და ამ ნივთის ნახევარი ღირებულება მაინც აიღოს, და ის იძულებულია ამ ჩარჩების ქსელში გაებას, მით უმეტეს, ბევრი მათგანი გამოუცდელია ყიდვა-გაყიდვაში.

ეს ჩარჩები თითქმის ერთი და იგივე პირები არიან. ხშირად ისინი სულ მუქთად იგდებენ ხელში წითელარმიელებისგან ნივთს.

საჭიროა ეს ობობას ქსელი დაიშალოს, ჩარჩები უნდა აილაგმონ და ამ პატარა კუთხეს ყურადღება მიექცეს. მუშკორი **ფ. ჯაში.**

სპეკულიანტი საბჭოთა სახლს გვინგრევს.

(ალმასკომის საყურადღებოდ.)

საახლეს ქუჩაზე საბჭოთა სახლში № 5 სცხოვრობს სპეკულიანტი პეტროსიანცი. 1921 წელს, როცა იგი იყო ტფილისის საბჭოთა სახლების უფროსის თანაშემწე, მან შემთხვევით და თავისი თანამდებობით ისარგებლა და დაიკავა სამი დიდი ოთახი; მოეწონა მას ეს ბინა იმიტომ, რომ მას ბალკონი ქუჩაზე ჰქონდა. ერთს დიდ ოთახში დადგა თუნუქის ფეჩი, დააწყო შიგ შეშა, გახსნა სასადილო, სადაც იგი ამზადებს შინაურ სადილებს, შეშასაც შიგ ოთახში აპობს და საუცხოვო მშვენივრად მორთული შეღებილი ოთახი გადაიქცა სამზარეულოდ. 1-ლ ოქტომბრამდე ბატ. პეტროსიანცი იყო კომენდანტად ამ შენობისა და რასაც მოისურვებდა, იმას შვრებოდა. მესამე თვეა, რაც დანიშნეს ახალი კომენდანტი. თუმცა-ღა იგი ხედავს სულ ყველაფერ ამას, მაგრამ, სამწუხაროდ, ის არავითარ ზომებს არ ღებულობს ამის წინააღმდეგ. ვეკითხები კომენდანტს:—იცის თუ არა მან, რომ ბატ. პეტროსიანცი ანადგურებს საბჭოთა სახლს და, თუ იცის, რა ზომები აქვს მას მიღებული?!

დღეს, როცა ბინების დიდი კრიზისია ქალაქში, ბევრი მუშები იხრჩობიან სარდაფებში, ბატ. პეტროსიანცის ოჯახობას-კი, რომელიც შესდგება ცოლ-ქმარ და პატარა ბავშვისაგან, უჭირავს სამი ოთახი. მასთან უნდა ავღნიშნო, რომ ამ სახლში წინედ ა'ი სცხოვრობდენ მდგმურები; სახლი, სპეციალურად აშენებულია კანტორებისათვის.

საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება, რათა სპეკულიანტი პეტროსიანცი იქნეს ალაგმული მუშათა სახლის განადგურებისათვის და გადასახლებული, ან და უნდა ჩამოერთვას მას ორი ოთახი. **ინფორ. პავლუშა.**

კიდევ ავლაბრის მუშათა კლუბზე

(პროფკავშირის კლუბის გამგის საყურადღებოდ).

გაზეთ კომუნისტში უკვე მოთავსებული იყო წერილი კლუბში უწესრიგობის შესახებ; მაგრამ ამის შესახებ სრულებით თავი არ შეუწუხებიათ და არც უფიქრნიათ არც პროფკავშირებს და არც კლუბის გამგეს. თუ წინედ აქ წესრიგი ძალიან მოისუსტებდა, ამ ჟამად კი აქ უწესრიგობა უმაღლეს წერტილამდის ავიდა: სკამზე არ არის მიკრული ნომრები, ამის გამო ერთი მეორის ადგილზე ჯდება, ამაზე მოსდით ჩხუბი და ცემა-ტყეპაც. კლუბის კანტროლიორების რიცხვი დარჩა ისევ ძველი და უწესრიგობაც ძველ დონეზეა. ერთხელ კიდევ ვწერთ ამის შესახებ, ჩვენი ამხანაგების და მუშების თხოვნით. ნუ თუ ახლაც არ მიექცევა ამას ყურადღება? აჰ ჩვენს მუშათა კულტურულ სახლში, სადაც მოვდივართ დაღლილ-დაქანცულები, რომ დავიმშვიდოთ გული, გავიგოთ ცოტა რამ, და ყოველივე ამის მაგივრად ჩვენი მუშა აქ უფრო ნერვებს იშლის და უფრო დაღონებული ბრუნდება სახლში. ეს ასე არ უნდა ხდებოდეს.

ახ.-გაზ. კომ.-კავ.-წევ. ჯ. ი.

მუშათა ქრონიკა.

— **მოგვემატნენ ახალი მუშა-კორესპონდენტები.** ქ. გორის ალმასკომის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ, რომელიც შესდგა ა. წ. 4 დეკემბერს, ჩვენი გაზეთის მუშკორებად აირჩია ამხ. ამხ. შ. კორინთელი და ვ. ქუჩუკაშვილი, რომელნიც უკვე გამოცხადდნენ რედაქციაში.

სასურველია სხვა მაზრის ალმასკომელებმაც წაბაძონ გორის ამხანაგებს და აირჩიონ გაზ. „კომუნისტი“-ს თანამშრომლებად კეთილსინდისიერი და ენერგიული კალმოსანი ამხანაგები.

მუშათა ფაკულტეტში

ა/წ. 18 ნოემბერს გამართულ იქნა საღამო სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული მუშათა ფაკულტეტის სტუდენტების მიერ, საღამოზე დაესწრენ საპატიო სტუმრები, უკრავდა სამხედრო ორკესტრი. პირველი მისასალმებელი სიტყვა სთქვა ამხ. მარუსია ორახელაშვილისამ, კოლია ოკუჯავამ, კომკავშირის პასუხისმგებელმა მდივანმა და სხვებმა. მოხსენების შემდეგ წარმოდგენილ იქნა ადგილობრივი დრამატიულ დასის მიერ რევოლიუციონური პიესა. წარმოდგენის შემდეგ წაკითხულ იქნა ლექსები სტუდენტების მიერ, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრეებზე. სასურველია ხშირად იმართებოდეს ასეთი საღამოები.

მუშფაკის მსმენელი: **მიშა მაჩიტაძე.**

ჩვენი ფოსტა.

— **წნორის ინფორმატორს.** გვაცნობეთ თქვენი ვინაობა და მისამართი.

— **ამხ. ხაჩატუროვ მიხეილს.** შემოიარეთ კვირას რედაქციაში დილის 9 საათზე.

მელ ხალხს თავის თავის გათვითცნობიერებაში და ხელოვნებასთან დანათესავებაში.

შემდეგ აღუთქვა, რომ პროფ. კავშირთა საბჭო ყოველთვის ეცდება ხელი მოუმართოს სახალხო თეატრს მის მომავალ სახალხო მოღვაწეობაში.

ყურულაშვილის შემდეგ სცენაზე გამოვიდა საქართველოს საბჭოთა ალმასკომის თავმჯდომარე ამხ. მიხა ცხაკაია.

მას ხალხი მიესალმა მხურვალე ტაშის ცემით.

ამხ. ცხაკაიამ მიულოცა სახალხო თეატრს ამიერ-კავკასიისა, საქართველოს მთავრობისა და ალმასკომის სახელით.

მან თავის სიტყვაში განსაკუთრებით აღნიშნა სახალხო თეატრის წმინდა ხალხოსნური მოღვაწეობა.

სიტყვაში ჩაურთო ზოგიერთი თავისი პირადი მოგონებანიც.

ხალხმა გაისტუმრა იგი ისეთივე ტაშის ქუხილით, როგორც მიიღო.

შემდეგ დაიდგა „მსხვერპლის“ პირველი მოქმედება ნ. გოცირიძის რეჟისორობით. პიესა საუცხოვოდ იყო დადგმული და დიდის ხალისითაც ჩაიარა.

„მსხვერპლს“ მოჰყვა იმ ოცი პიესის პროფილები, რომელთაც ყველაზე ხშირათ თამაშობდენ სახალხო თეატრში.

სცენაზე იყო მოწყობილი სამი პატარა სცენა. რიგ-რიგად იხდებოდა ეს სცენა და ვხედავდით სანიმუშო ადგილებს სხვადასხვა პიესებიდან.

სულ ბოლოს გაიხსნა საზეიმო სხდომა შ. დადიანის თავმჯდომარეობით. სცენა გაჭედილი იყო სხვადასხვა წარმომადგენელთა მიერ. იქავე შეკრებილიყვნენ სახალხო და აკადემიური თეატრის ყველა მსახიობნი.

დაიწყო მრავალი მილოცვანი და მრავალი შეწირვანიც.

ყველაფერი ეს დამთავრდა განთიადის სამ საათზე.

შემდეგ დაიწყო წვეულება სადღეგრძელოებით და გაგრძელდა დილამდის.

დილის ცხრა საათზე ხალხი ზურნა-დალბანდით გაემგზავრა ავჭალის აუდიტორიისკენ.

თეატრის წინ მოედანზე გაიმართა მოლხენა და სიტყვები.

ერთ-ერთი მონაწილის წინადადებით გადაწყვეტილი იქნა ავჭალის აუდიტორიას მიეკრას მარმარილოს ფიცარი ზედ წარწერით:

პირველი აკვანი სახალხო თეატრისა.

შემდეგ ისევ ზეიმით დაბრუნდენ ყველანი სახალხო სახლამდის და იქიდან კი დაიშალენ.

სახალხო თეატრის ზეიმიც სწორედ ხალხურად იყო გადახდილი.

დამსწრე.

პროვინციაში

საბჭოთა არჩევნები სენაკის მაზრაში

სენაკის სამაზრო ალმასკომმა საარჩევნო კამპანია დაიწყო ა. წ. 13 ნოემბერს. მაზრა დაყოფილ იქნა 7 საარჩევნო რაიონად, სადაც დაგზავნილი იყო ინსტრუქტორები სათანადო დირექტივებითა და ინსტრუქციით. რაიონული ყრილობებზე, სადაც არჩეულ იქნენ რაიონული ალმასკომები, მოხსენებით გამოვიდენ სამალმასკომოს პრეზიდიუმის წევრები რაიალმასკომების დანიშნულებისა და მომავალ მუშაობის გეგმის შესახებ. რაიონული ყრილობები დასრულდა 28 ნოემბერს ყველგან თემებში არჩეულია ახალი საბჭო და მისი თავმჯდომარე.

1 დეკემბერს გაიხსნა სამაზრო საბჭოთა ყრილობა. პირველ საზეიმო სხდომას დაესწრენ სტუმრები: ამხანაგები: მიხა ცხაკაია, მამია ორახელაშვილი და საშა გეგეჭკორი, რომელნიც ესტუმრენ სენაკის მაზრას მდ. აბაშის წყალგარდნილზე ჰიდროელექტრონის სადგურის საძირკვლის ჩაყრის გამო.

ყრილობის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) ს. ს. რ. კავშირის შინაური და საგარეო მდგომარეობა, რომელზედაც ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება გააკეთა ამხ. მამია ორახელაშვილმა, 2) სამაზრო ალმასკომის ანგარიში (მომხს. ს. მამულია), 3) საგადასახადო პოლიტიკა და ადგილობრივი ბიუჯეტი (მომხს. ქ. მელიქაძე), 4) მორიგი ამოცანები, კულტურა-განათლების დარგში (მომხს. ვ. ქობულია), 5) მორიგი ამოცანები სასოფლო მეურნეობისა და საბჭოთა აღმშენებლობისა მაზრაში (მომხს. ს. მამულია) 6) საარჩევნო კომისიის ანგარიში, 7) სამანდატო კომისიის მოხსენება და 8) არჩევნები.

ყრილობა გაგრძელდა 3 დღეს. ყველა დასმულ საკითხებზე შესაფერი რეზოლიუციები იქნა გამოტანილი.

ამომრჩეველთა რიცხვი მაზრაში შეადგენდა 148,894-ს. სამაზრო ყრილობაზე წარმოდგენილი იყო 143 დელეგატი გადამწყვეტი ხმით.

სამაზრო ალმასკომის მუშაობა ყრილობამ სცნო სრულიად დამაკმაყოფილებლად და გამოუცხადა მას ამხანაგური მადლობა ნაყოფიერი მუშაობისათვის.

ახალ სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტში ერთხმად არჩეულ იქნენ მამულია, ბედია მ., კოკაია ათ., ოჩიგავა ალ., ნოდია ვალ., ქობულია ვას., ჩაკვეტაძე ივანე, შალამბერიძე ერმ., ოჩიგავა ოლ. გულორდავა ის., კარტოზია ლ., მამულია ანნა, ლომია კალ., სიჭინავა ტ., მელიქაძე კაპ. კანდიდატებად: ჭანტურია ილია, თურქია ს., ნადარეიშვილი არტ., გაგუა ლ., ნოდია ვირ.

დელეგატებად სრ. საქ. საბჭოების ყრილობაზე არჩეულ იქნა 15 ამხანაგი.

კანი.

თელავის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება

3 დეკემბერს, ქ. თელავში, შრ. სახ. კომისარიატის წარმომადგენლის ამხ. ა. თურქიას თანდასწრებით, ადგილობრივ პროფკავშირთა კლუბის დარბაზში შესდგა თელავის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. კრების თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეული იქნა, ადგილობრივი პროფბიუროს მდივანი ამხ. ხაჩიძე, მდივნათ—რამიშვილი. გასარჩევი იყო შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება შრომის კანონდებულებათა შესახებ, 2) მოხსენება შრომის ინსპექციის მოქმედების შესახებ, 3) შრომის ინსპექტორის გადარჩევა და 4) შრომის შემნახველ კასის დაარსება.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა შრ. სახ. კომ. წარმომადგენელმა ამხ. თურქიამ, რომელიც ფართეთ შეეხო მუშათა მოძრაობის ისტორიას და დაწვრილებით გააშუქა შრომის პირობების მომწესრიგებელი საბჭოთა ხელისუფლების კანონ-დებულება და მათი მნიშვნელობა პროლეტარიატისათვის. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ისტორიას დღემდე არ ახსოვს, როგორც სხვა დარგში, ისე შრომის დარგში ასეთი კანონ-დებულება, როგორიც აქვს საბჭოთა ხელისუფლებას. ცხადია, სხვანაირათ საბჭოთა ხელისუფლება ვერ მოიქცეოდა და ვერც მოიქცევა. მისი პირველი და მთავარი მიზანია მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესება და შრომის სუფევის დამკვიდრება. შემდეგ მომხსენებელმა დამსწრეთ განუმარტა შრომის დაცვის, სატარიფო საკონფლიქტო, სოციალურ დაზღვევის, შრ. ბაზრის მოწესრიგების და სხვ. საკითხები. მომხსენებელს მისცეს მრავალი შეკითხვები, რაზედაც სათანადო პასუხი გასცა ყველას, რის შემდეგ კრებამ გამოიტანა შესაფერი რეზოლიუცია. შრომის ინსპექტორის მოქმედების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ბერძნიშვილი. შრ. ინსპ. მოქმედებას კრება დამაკმაყოფილებლათ სთვლის და შრომის ინსპექტორათ კვლავ ირჩევენ ამხ. ბერძნიშვილს.

შრომის შემნახველ კასის შესახებ ინფორმაციას აკეთებს ამხ. ხაჩიძე და დამსწრეთ უმარტავს მის მნიშვნელობას, რომელიც ერთი მხრივ შეუნარჩუნებს მუშა-მოსამსახურეთ იქ შეტანილ ხელფასის კურსს და მეორე მხრივ შეამცირებს სახელმწიფოს ემისიას.

კრება სიამოვნებით ღებულობს მოხსენებას და ადგენს შუამდგომლობა იქნას აღძრული სათანადო ორგანოების წინაშე ასეთი კასის ადგილობრივ ხაზინასთან მოსაწყობათ.

რ.

მისალმებანი სიღნაღის მაზრიდან

პროლეტარულ მგოსანს აკოპ აკოპიანს

განათლების მუშაკთა კავშირის სიღნაღის სამაზრო მესამე კონფერენცია მოგესალმებათ თქვენ, როგორც პროლეტარიატის ძვირფას მცხოვან მგოსანს და უსურვებს გამარჯვებას თქვენს ძლევამოსილ ჩანგს.

პროფკავშირთა საბჭოს, ცენტრალურ განათლების მუშაკთა კავშირს და გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციას

განათლების მუშაკთა კავშირის სიღნაღის სამაზრო მესამე კონფერენცია მოგესალმებათ თქვენ და ფიცს სდებს, რომ იგი მჭიდროთ შეკავშირებული თქვენთან ერთად განამტკიცებს და ააყვავებს ყოველივე თქვენ მიერ გადადგმულ ნაბიჯებს მუშა-მოსამსახურეთა საკეთილდღეოთ.

გაუმარჯოს წითელ პროფინტერნს, გაუმარჯოს პროლეტარულ მეცნიერებას, გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

კონფერენციის პრეზიდიუმი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— **ს. კ. პ. ტ. კ. მე-2 საუბნო კომიტეტი** იუწყება, რომ დღეს, 12 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე, მუშკოპის ბინაზე (კიროჩნის ქ. № 7) **დანიშნულია დელეგატთა კრება** მე-2 საუბნო კომიტეტის უჯრედების მდივანთა და პასუხისმგებელ ხელმძღვანელებთან ერთად.

დღის წესრიგი:

1. ერთიანი პარტიული დღის წესრიგი.
2. საუბნო კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებანი.
3. მიმდინარე საკითხები.

სავალდებულოა ყველა ზემოხსენებულ ამხანაგების დასწრება.

მდივანი ნაზაროვი.

პროფესიული

სკოლის გარეშე განათლების მუშაკის სახლში.

ხუთშაბათს, 13 დეკემბერს, დილის 11 საათზე, სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა სახლში (ალექსანდრეს ბაღი, ყოფ. პუშკინის ბიბლიოთეკა, მე-3 სართული) შესდგება ბიბლიოთეკის მუშაკთა საზოგადო კრება.

სასურველია ქ. ტფილისში ყველა ბიბლიოთეკის მუშაკთა ამ კრებაზე დასწრება.

განცხადებები

ღრმათ დამწუხრებული დედა ეკატერინე როსტომის ასული, და ქეთევან დიმიტრის ასული ათაიანისა, ძმები ივანე, ლევან, პეტრე, პალიკო და სიძე გრამიტონ ყაფლანის ძე ასათიანი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ ძვირფას

მარიკო დიმიტრის ასულ ბოკერიას

გარდაცვალებას. გამოსვენება ოთხშაბათს 19 დეკემბერს ნაშუადღევის სამ საათზე ქალაქის მეორე საავადმყოფოდან (კამოს ქ. № 103) ვერაზე წმინდანიკოლოზის სასაფლაოზე. 267—1—1

რუსთაველის თეატრი
ქართ. აკად. დრამა
ხვალ, 13 დეკემბერს
ოტელო
ნის. 772—3—1

სახელმწიფო ოპერა
დღეს, 12 დეკემბერს
დუბროვსკი
ხვალ, 13 დეკემბერს
ტოსკა
პარასკევს, 14 დეკემბერს ბალეტი
1. კოპელიუსის დედოფალა
2. ლისტის პრელიუდიები
შაბათს, 15 დეკემ. პროფკავშირებისათვის
მეფის საცოლე
კვირას—თავადი იგორი
ნის. 773—5—1

თეატრი და ცხოვრება
(თეატრი. მუსიკა. მხატვრობა. ქანდაკება და სხ.)
იოსებ იმედაშვილის რედაქტორობით და დამსახურებულ მწერალთა მონაწილეობით გამოვა ა. წ. დეკემბრის 9-ს ყოველკვირეულად.
ფასი 15 კაპ. ჩერვ.
მეგაზეთეებმა მიმართონ ბეჭ. სიტყვის ექსპედიციას, მყიდველებმა—მეგაზეთეებს, რკინისგზებზე—კიოსკებს.
გამომცემელი: ომში დაჭრილთა შრომის არტელი „ახალი წრე“
5—5 6.

ამიერ-კავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რეს ბლიკების
გაერთიანებულ რკინისგზათა სამმართველო
ამით აცხადებს,
რომ ამიერ-კავკასიის რკინისგზათა სამმართველოს და ძველ კონტრ-ა ტებს შორის (საქართველოში—ს. მ. უ. ს. ცენტრ. სატრანსპ.-სამასალო განყოფილება, აზერბაიჯანში—ადგილობრივი ტრანსპორტის ცენტრა სამმართველო, სომხეთში—კავკასიის ამხ-ბა „დრუჟბა“) მომხდარი შე ხმების გამო ამა წლის 12 დეკემბრისათვის დღის 12 საათზე
დანიშნული შეჯიბრება
დასატვირთავ მუშაობათა და ტვირთების დაცვის იჯარით გასაცემა
არ შესდგება
და ეს სამუშაოები რჩებათ
აღნიშნულ კონტრ-აგენტებს
კრ. 777—1—1

მე-6-7-ე უბნის სასამართლოს აღმ სრულებელი
ქ. მამოევი ამით აცხადებს, რომ 17 დეკემბერს ამა 1923 წ. დილის 10 საათზე დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
სედრაქ არუთინოვის მოძრავ ქონებაზე, რომელიც შესდგება სხვა და სხვა საოჯახო ნივთეულობისაგან საქართველოს კოოპერატიულ ბანკის ვალის დასაკმაყოფილებლად. გასასყიდი ქონება შეფასებულია 157 ჩერვონეცად, რომ თანხიდანაც დაიწყება
საჯარო ვაჭრობა
ვაჭრობა მოხდება მარინის ქ. № 6, სადაც იმყოფება სასყიდი ქონება
776—1—1 სასამართლოს აღმასრულებელი: ქ. მამოევი.

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენის დარბაზით
მიხეილ ბედევანიშვილის [illegible]
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ [illegible] მკურნალობას საჭიროებენ.
სამკურნალო სწარმოებს **ექ. სვიმონ ჟიფშიძის** [illegible]
[illegible] ტფილისი, ყირმიზანოვის ქ. № 20. (126—25—1)

დავკარგე განათლების მუშაკთა კავშირის და დამზღვევი საწევრო წიგნაკები თამარ სიმონის ასულის თოი სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

სრულიად რუსეთის კოოპერატიული
—ბანკი—
ტფილისის განყოფილება
(თავისუფლების მოედანი, ლადო დუმბაძის ქუჩის და სომხის ბაზრის კუთხე)
იღებს პროფკავშირების წევრებისაგან ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებს მიმდინარე ანგარიშზე
ჩერვონცების ანგარიშით დღის კურსის მიხედვით.
მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რომელთა უმრავლესობა მოკლებულია ბანკში დღისით მისვლის საშუალებას, ბანკის სალარო ღია საღამოობით საღამოს 6-დან 7 ნახევარ საათამდე ყოველდღე, გარდა კვირა-უქმე დღეებისა.
775—1—1

გუშინ 11 დეკემბერს
ს. ს. რ. კ. ს. ს. რ. კ.
სახელმწიფო ბანკის
ამიერ-კავკასიის საოლქო კანტორის
მაიდანის სააგენტომ
(მაიდანი, გერმანული ქარვასლა)
დაიწყო
თავისი მოქმედება. სხვა საბანკო **ოპერაციებთან** ერთად სააგენტო აწარმოებს მშრომელთა
ნაოფლარის მიღებას შესანახად 1. მიმდინარე ანგარიშებზე
250 მანეთამდე ჩერვონცებით და 2) ანაბარს, არა ნაკლებ ერთი თვის
ვადით **1000 მანეთამდე ჩერვონცებით**
ნის. 774 1—1

„შრომის [illegible]“ [illegible] № 4 [illegible]